საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია № 274 შაბათი, 6 ივლისი 1918 წ. № 274

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

საჩხერე ჩვენმა ჯარმა ბრძოლით აიღო: მცხოვრებლებმა იარაღი დაჰყარეს და გაიქცნენ; დაატუსაღეს რაიონის ჯამუში და პროვოკატორი.—ხრესილში, ქუთაისის მაზრაში, არეულობამ იჩინა თავი: ჩვენმა ჯარმა აჯანყებულები დაამარცხა და გარეკა.—ფინანსთა სამინისტროსთან არსებული კომისია საბაჟო გადასახადების საკითხს განიხილავს.—ბელგიის სანაპიროებთან ინგლისის და გერმანიის ნაღმოსნებს შორის შეტაკება მოხდა.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ—1 მან., უკან—50 კაპ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15—2 ღირს 10 მან., 20—2 ღირს 15 მან., 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (ქ. თავართქილაძესეული „ნადეჟდა") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება საბი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში სახახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Схалхо Сакмэ", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

სრულიად საქართველოს საკათოლიკოზო საბჭო და სასამართლო გლოვით აუწყებს ქართველ ერს, რომ ამა ივნისის 26—27-ს მამა ანტონ მარტომყოფელის მონასტერში ღვთივ მიიცვალა უწმინდესი და უნეტარესი კათოლიკოზ-პატრიარქი სრულიად საქართველოისა

## კირიონ მე-II

მისი უწმინდესობის ნეშთს გამოასვენებენ ანჩისხატის ტაძრიდან კვირას, ივნისის 7-ს, სწორედ დილის 9 ნახ. საათზე. წირვა, ანდერძი და დაკრძალვა იმავე დღეს სიონის ტაძარში.

ანნა გიორგის ასული და ივანე მათეს ძე დეკანოზიშვილები შვილებითურთ, მწარედ გულდაწყვეტილნი, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ივნისის 27-ს, ღვთივ მიიცვალა უწმინდესი და უნეტარესი საქართველოს ეკლესიისთვის ტანჯულ-წამებული სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი

## კირიონ მეორე

პანაშვიდები ყოველ შუადღის 12 ს. და საღამოს 7 საათზე—ანჩისხატის ტაძარში—დაკრძალვა კვირას, მკათათვის 7 ს, სიონის ტაძარში. 711-6

კვირას, ივლისის 7-ს, დილის 9 ნახ. საათზე, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში გარდაცვლილი იქმნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

## ნიკოლოზ ივანეს ძე თაქთაქიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებულის მშობლები ელისაბედ და ივანე თაქთაქიშვილები, მეუღლე ნინო თავისი შვილებით, ძმები იასე და მიხეილი ცოლშვილით, დები კატო და ნინო თაქთაქიშვილები და სოფიო ფავლენიშვილისა ქმარ-შვილით 712-1

## მოხალისეთა ჯარში ჩაწერა

იმათ, ვისაც ჯარში გაწვევის დრო მოუვიდათ, და მოხალისეებს შეუძლიანთ, ეროვნებისა და წლოვანობის მიუხედავად ჩაეწერნენ მეორე ქართულს ცხენოსანს პოლკში. მისამართი მე-2 ე ქალთა გიმნაზიაში, დიდი მთავრის ქუჩაზე, დილის 8 საათიდან საღამოს 8 მდე.

707 ჩამწერლებს სთხოვენ დოკუმენტები თან იქონიონ.

## გერმანიის საიმპერატორო დელეგაციას

თან მოჰყვა აგრეთვე სამეურნეო განყოფილება, რომლის ბიურო მოთავსებულია გრიბოედოვის ქ. № 18-ში.

ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე (კვირა დღეების გარდა) დილის 11—12 ნახევ. საათამდე. 710

## დიდი ცირკი
## ძმ. ეფიმოვებისა



მიხეილის პრ., მუშტ. ბაღი, სეკვთ. ბაღიდან შესვლა. ტელეფონი 18—69.

დღეს ივლისის 6—ს 1918 წ. გაიმართება

## დასახიჩრებული მეომარის დღე

ტამენსკის ხელმძღვანელობით. მონაწილეობენ ოპერის, დრამის და მინიატიურის საუკეთესო მსახიობები.

მუსიკა დაიწყება 7 ნახ. ს., წარმოდგენა 8½ ს.

718 მთავარი გამგე: ა. ეჯიზარიძე.

# ამხანაგების საყურადღებოდ

ბათომის პარტიზანული პოლკის ტრიბუნალი მოუწოდებს ქალაქელ და სოფლელ ამხანაგებს ჩაეწერონ ამ პოლკში. ჩაწერა შეუძლია ყველას 19 წლიდან 23-მდე, ე. ი. იმათ, რომელთაც ეხება მობილიზაცია და აგრეთვე მოხალისედ 23 წელზე ზევით. პირობები და მდგომარეობა ისეთია, როგორც ჩვეულებრივ რეგულიარულ პოლკში. (ჯარის-კაცებს ჯამაგირი ეძლევა თვიში 35 მანეთი, საჭმელ-სასმელი და ტანისამოსი; ოფიცრებიც საერთო პირობებში). დაწვრილებით გაგება ცნობებისა შეიძლება ტფილისში სოციალისტ-ფედერალისტთა მთავარ ბიუროში, ლორის-მელიქოვის ქ. № 1. და ბორჯომში პოლკის შტაბში ქალთა სასწავლებლის შენობაში (ნაბერეჟნაია ქ.) პოლკის ტრიბუნალი.

**ტფილისი. 1918 წ. ივლისი 6.**

**მიწის საკითხი.** ჩვენი ქვეყანა მიწათმოქმედების ქვეყანაა უპირველესად ყოვლისა, გაივლის ჯერ კიდევ ბევრი დრო, იქნება საუკუნეც, სანამ უმთავრესი ძალა სამრეწველო კლასების ხელში გადავიდოდეს. სწორედ ამიტომაც აგრარულ რეფორმას ჩვენს ქვეყანაში ყველა სხვა რეფორმაზე მეტი მნიშვნელობა აქვს. ეხლანდელ არეულობას, რა თქმა უნდა, პროვოკაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ პროვოკაცია იმიტომ ჰპოულობს ნიადაგს, რომ საქართველოს ბევრს ადგილას გლეხ-კაცობა ძალიან-დატანჯულია მიწის სიმცირით. უარესი შემთხვევას არ უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ანარქია გაცილებით უფრო ძალიან იქ იკიდებს ფეხს, სადაც ძალაში დარჩა ძველი ფეოდალური ურთიერთობა, სადაც ერთმანეთს დაპირისპირებულნი არიან ცოტა და თუ ბევრად დიდი მემამულენი და თითქმის სრულიად უმამულო გლეხები. ამისთანა ადგილებში გლეხ-კაცობა ღარიბიც არის და გაუნათლებელიც. გორისა და დუშეთის მაზრები, მაგალითად, სწორედ ასეთი მაზრებით, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, ამ მაზრებში თქვენ ვერ ნახავთ ისეთს გლეხს, რომელსაც საშუალება ჰქონოდა დამოუკიდებელი, კულტურული მეურნეობა ეწარმოებინა. იგი ეკონომიურად და სოციალურად სავსებით მემამულეზე იყო და არის დამოკიდებული, ამ დამოკიდებულობის ნიადაგზე აღმოცენდა ერთის მხრით მცხოვრებთა კულტურული უკან ჩამორჩენა და მეორეს მხრით საშინელი გაბოროტება მემამულეების წინააღმდეგ, რომელც რევოლიუციის დროს თავ-აშვებულ ტეროროში გამოიხატა. ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით ერთიც და მეორეც საშინელი ბოროტებაა. საქართველოს ნორმალურ სამომავლო ცხოვრებას ვერ შეუდგება, თუ ეხლანდელი რევოლიუციის პროცესში არ მოხდა საბოლოვო ლიკვიდაცია ამ არა ნორმალური დამოკიდებულებისა სოფლის ჯგუფთა შორის. ფეოდალიზმის უსიხიდისო ნაშთი-წოდებრივობა—ვერ მოისპობა, თუ ის სოციალური უფსკრული, რომელიც ამ წოდებათა შორის არის გათხრილი, არ მოისპო.

არა გვგონია რომელიმე პოლიტიკურ წრეში, რომელიმე ჭეშმარიტ დემოკრატიულ ჯგუფში ეჭვს იწვევდეს ეს გარემოება. მიმდინარე მომენტის, ჩვენი გარდამავალი ხანის პირველი ვალია ბოლო მოუღოს ფეოდალიზმის ამ ნაშთს და რევოლიუციით მოხდარ ერთგვარ გათანასწორებას იურიდიული, გონიერი სახე მიეცეს. ეს იქნება განმტკიცება რევოლუციის ერთი მონაპოვრისა, ეს იქნება კანონმდებლობით დაგვირგვინება იმ სოციალური ტრანსფორმაციისა, რომელიც რევოლიუციამ მოახდინა და რომელმაც გახსნა პირობები ახალი ცხოვრების დაწყებისა სოფელში.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ მოვიწონებთ ამ ექსცესებს, რომლებიც რევოლიუციის დროს მიწის გარშემო ხდებოდა, მაგრამ პოლიტიკური შემოქმედება ყოველნაირ მოვლენაში უნდა ჰხედავდეს არა კერძო შემთხვევებს, არამედ იმ საზოგადო ტრანსფორმაციას, რომელიც ცხოვრებაში სწარმოებს. რევოლიუციამ კი ჩვენში მიწა აამოძრავა და იგი ხელთ უგდო იმ წოდებას, რომელიც დღეს უკულტურო და გაუნათლებელია, მაგრამ ხვალ, როგორც ახალი კულტურული მეურნეობის მატარებელი, ერისა და სახელმწიფოს მტკიცე საფუძვლად გადაიქცევა.

ყველა დემოკრატიული პარტია თანახმა იქნება, რომ აუცილებლად საჭიროა გლეხის მიწით-სარგებლობა გაფართოვდეს. ჩვენს პარლამენტს უკვე აქვს მიღებული ერთი-კანონი, თანახმად ამ კანონის მთელი ზედმეტი მამული მემამულეებს უნდა ჩამოერთვათ, მაგრამ რა უნდა ვუყოთ ამ ჩამორთმეულ მამულებს? სოციალ დემოკრატიული პარტიული პროგრამის თანახმად, ეს მიწები უნდა გადაეცეს საერობო თვითმართველობას, რომელიც თავის მხრივ იჯარით გასცემს გლეხებზე.

მაგრამ, როგორც ჩვენ უწინაც არაერთხელ გვითქვამს, საიჯარო სისტემა ყოვლად მიუღებელი იქნებოდა გლეხებისთვის. ეხლა სოციალ-დემოკრატებს მსჯელობა ჰქონიათ ამ საკითხის შესახებ და გადაუწყვეტიათ მემამულეებისაგან ჩამორთმეული მიწები შეღავათიანი ფასებით საკუთრებად მიჰყიდონ გლეხებს. სოციალ-დემოკრატებს იმედი აქვთ, რომ ბაჟიოტაჟს აქ ადგილი არ ექნება, რადგანაც მიწას გაჰყიდის არა მამულის პატრონი, არა თავად-აზნაურობა, არამედ მთავრობა, რომელიც დღეს სავსებით დემოკრატიული ელემენტებისაგან შესდგა და, მაშასადამე, გლეხების ინტერესებსაც დაიცავს.

მთავრობას ჯერ თავისი აზრი ამის შესახებ არ უთქვამს. ამიტომ უფრო დაწვრილებით ამ საკითხს მაშინ შევეხებით, როდესაც მთავრობა რაიმე კონკრეტიულ კანონ-პროექტს შეიმუშავებს და გვეტყვის, როგორ და რანაირი საშუალებებით ჰყურს გლეხების დაკმაყოფილება მიწებით.

## სომხური პრესა

**ჰორიზონი:**

„საქართველო ამიერკავკასიაში ერთად ერთი კუთხეა, სადაც ჯერ რევოლიუცია დაქცეული არ არის. და თუ მას საფრთხე მოელის, მაშინ საქართველოს ფარგლებში მყოფმა ყველა ერმა და მომქმედმა პარტიამ, ქვეყნის მთელმა დემოკრატიამ, იმისდა მიუხედავად თუ როგორი ეპყრობა და უცქერის მართვა-გამგეობის სათავეში მდგომ პარტიას, პროგრამულ პრინციპულ ანგარიშებს თავი უნდა გაანებოს და მზად იყოს თავისი მოვალეობის შესასრულებლად,—განსაცდელის წამს ერთსულოვანი მოქმედებით ის გადაარჩინოს, რისი გადარჩენაც შესაძლებელია, რათა რევოლიუციის უკანასკნელი პოზიციები დაცულ იქმნას".

ეს სტრიქონები, იმით არის გამოწვეული, რომ გერმანული „კაუკაზიშე ფოსტი" მოითხოვდა, „საქართველოს მთავრობა პარტიული კი არ უნდა იყოს", არამედ „საქართველოს ეროვნული ქართველი მამულიშვილები უ[illegible]“.

## მთავრობაში

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან არსდება დროებით კომისია საქონლის გაცვლა-გამოცვლისათვის. კომისიაში შედიან სამინისტროების დაინტერესებულ განყოფილებათა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენლები. კომისია პირველ ყოვლისა შეუდგება საქართველოდან საქონლის გაზიდვის მოწყობას. გაიზიდება: ღვინო, თამბაქო და სხვა. გაზიდვის პრინციპი ასეთი იქნება: გაზიდულ საქონლის სააქციზო გადასახადი მთავრობას გადაეცემა, გაზიდულ საქონლის მაგივრად იმ ქვეყნებიდან, რომლებშიაც საქონელს გაზიდავენ ის საქონელი იქნება შემოტანილი, რასაც საქართველო საჭიროებს.

აკრძალულ იქმნება შაქრის, ფართლეულობის და სხვა საქონლის გაზიდვა.

—

**ფინანსთა სამინისტროსთან.** ფინანსთა მინისტრის ხელმძღვანელობით შედგენილია კომისია, რომელიც განიხილავს საბაჟო გადასახადების საკითხს საქართველოს და სხვა სახელმწიფოების შორის.

—

**უკრაინაში საქართველოს მთავრობისაგან რწმუნებულად დანიშნულია ვ. თევზაია, ჯამაგირად თვეში 1.500 მან. მიეცემა. მის ამხანაგად დაინიშნა ვაჩეიშვილი (თვეში 1,200 მან.)**

—

ივლისის 4-ს მთავრობის სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენების თანახმად ანარქიასთან ბრძოლისათვის დადგენილია 10 მილიონია ფონდიდან 2 მილიონი გადაიდოს, მთავრობის თავმჯდომარეს მოხსენების თანახმად საქართველოს ჯარის შედგენის შესახებ, დაევალა სამხედრო მინისტრს წარმოადგინოს კანონ-პროექტი საქართველოს ლაშქრის შედგენის შესახებ.

—

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენების თანახმად ტელეფონის ჰავთულის აღსადგენად დადგენილია გადაიდოს 100,000 მანეთი, ამასთანავე ერთად შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალა მიიღოს ზომები ტელეფონის მავთული აღადგინოს ტფილის-სიღნაღ თელავ და თიანეთის შუა.

—

იუსტიციის მინისტრის მოხსენების თანახმად სასამართლოს ახალ კანონების გამოცემამდის დადგენილია სისხლის სამართლის საქმეები, რომელთაც სიკვდილით დასჯის კანონი ეხება გაირჩეს საველე სამხედრო და სარევოლიუციო სასამართლოებში.

—

ცხის ხედამხედველების განკარგულებაში გადაიდვა 125,300 მანეთი.

ეროვნულ საბჭოს წარმოდგენით დადგენილია სახლი მთელი თავის ქონებით მიწათმოქმედების სამინისტროს გადაეცეს.

—

მთავრობამ გადაეცა ფინანსთა მინისტრის მიერ შემუშავებული კანონპროექტი თამბაქოზე სააქციზო გადასახადის გადიდების შესახებ.

## დუშეთის არეულობის გამო

დუშეთის მაზრის ცხოვრებითა და მოქალაქეთა საყურადღებოდ. [illegible] ეროვნულ კომიტეტს და ტფილისში შედგარი დუშეთის მაზრის მცხოვრებთა დამხმარე კომიტეტის დავალებით დუშეთში იყო გაგზავნილი ექ. მ. ხანდუკელი რომელსაც დავალებული ჰქონდა ნამდვილი ცნობები შეეკრიბნა დუშეთში მომხდარ ამბებს. მის. ხანდუკელმა გადმოგვცა შემდეგი: დუშეთი ხელოვნურად არის გამოცხადებული, მეამბოხენი ისვრიან ქერიაანიდან ზარბაზნებს, ეტყობა ეს ის ორი ზარბაზანი უნდა იყოს, რომელიც ყაზბეგში მდგომ მეურნეთ რაზმს წაართვეს. დახოცილები არიან მეამბოხეთა მიერ: იასონ ხანდუკელი, ლადო ჩოლოყაშვილი და ქალაქის კომისარი ვლ. ფურცელაძე და ორი წამლიაშვილები. აღმ. კომ. წევრნი ავალიშვილი და მიქაძე. დუშეთთან შეკრებილ 150 კაცამდე მეამბოხენი, მათში ურევია ცნობილი პროვოკატორი ნამასწავლებლარი ვლ. ბერიძე. ბაზალეთის გზაზედ მეამბოხეთ დაუჭერიათ ფურგონი სურსათით და ოთხი გვარდიელი. ამბობენ, რომ ორი მოუკლავთ, ორი კი ტყვედ წაიყვანეს.

ბ. ხანდუკელი აღნიშნავს, რომ საჭიროა სასწრაფო დახმარება და აგრეთვე შეიარაღება.

## საჩხერის ამბები

სამხედრო მინისტრის შემდეგი დეპეშა მოუვიდა: „ივნისის 29-ს ღამის 12 საათზე ლაშა საჩხერე ხარიხე; ესკადრის ცხენოსანმა ჯარმა ბრძოლით აიღო საარტილერიო იომხადების შემდეგ შეიარაღებულმა ბრბომ ბრძოლით უკან დაიხია. ამ ბრბოს ერთი ნაწილი დაპატიმრებულია უწყსრიგოდ მთებში გაიხიზნა. ქალაქის ადგილის თანავე, ხიშები იქნა მიღებული ქალაქის გასამაგრებლად და საჩხერე-შორაპნის რაიონის მცხოვრებთათვის იარაღის ასაყრელად. მცხოვრებთა ერთმა ნაწილმა არ მოინდომა და მთებში გაიხიზნა ოსებთან შეერთებულად რათა ჩვენთვის გზა მოეჭრათ რკინის გზის ლიანდაგი აეყარათ ჩვენთვის იარაღი წაერთმიათ, მაგრამ მოხრახშენის სროლით და ქვეითთა და ცხენოსან ჯარის ერთმა ხელი შეუშალეს მათ. ახლომახლო სოფლებიდან დღეს დილიდან მცხოვრებლებს თვითონ მოაქვთ იარაღი. მოაქვთ დღემდე მიიტანეს 400 ვინტოვკა. ჩვენ დავატყვევეთ სულ 100 კაცი, დავაპატიმრეთ ჯამაგ[illegible]

შები და პროვოკატორები. მცხოვრებლებმა აჯანყების მეთაურნი გასცეს, მგონია საქმე გათავებულია.

კამ. იშხნელი.

## არეულობა ქუთაისის მაზრაში

ქუთაისში ივლისის 3-ს საღამოს ცნობა მოვიდა ხრესილთან არეულობამ იჩინა თავიო დანამდვილებით არ ვიცით თუ რა ნიადაგზე მოხდა ეს არეულობა, ხოლო დაჭრებით ლაპარაკობდნენ აჯანყებულები ქუთაისისკენ მიდიანო, იმ საღამოსვე და მეორე დილით ქუთაისიდან ჯარი გაიგზავნა ქვეითა და არტილერია.

ივლისის 4-ს საღამოს აჯანყებულები ჩვენმა ჯარმა გარეკა, ამგვარად არეულობას ბოლო მოუღო.

ამჟამად იქ უკვე სიწყნარეა.

## ომის დეპეშები

**დასავლეთის ფრონტი.**

**ბერლინი** ივლისის 4 საომარი ცნობა.

**კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი:** საარტილერიო საომარი მოქმედება გაძლიერდა ფრონტის ზოგიერთ ადგილას. სომის ორსავე ნაპირას იპრემა დილიდანვე ცეცხლში გაახვია ჩვენი ზანაკი. აქვე ქვეითა ჯარი იბრძოდა.

**გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი:** ენის ჩრდილოეთით ძლიერი იერიშებია. მულენ-სუ-ტუგანის აღმოსავლეთით ბრძოლა იყო ჩვენი თხრილების პირველ ხაზთან და აქ მტერი გავრეკეთ. დანარჩენს ადგილას მტრის ყველა აგრესიული ცდა უნაყოფოდ ჩატარდა ჩვენი მავთულიანი ხლართების წინ. არავითარი ნაყოფი არ მოუტანა მტერს იერიშებმა, შატო-ტიერის დასავლეთით რომ აწარმოებდა.

**გალვიცის და ჰერცოგ ალბრეხტის ლაშქარი:** მტრის იერიში მაასის აღმოსავლეთ სანაპიროთი მოვიგერიეთ. სამხრეთ აარგაუში ერთი ორწყისვალე ბრძოლის დროს ჩვენ ხელთ ვიგდეთ ტყვეები.

**ბერლინი,** ივლისის 4. ძლიერი საარტილერიო იერიშები სომის ორსავე ნაპირას ჩვენი ბრძოლის ველის რაიონში მოვიგერიეთ.

**იტალიის ფრონტი.**

**ვენა.** ივლისის 4. უძლიერესად გაძლიერდა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე საარტილერიო ცეცხლი. აზრაგოსა და მონტე-სიზემოლესთან ინგლისელების იერიშები უნაყოფოდ ჩატარდა. პიავის შესართავთან ბრძოლა გრძელდება.

**პალესტინის ფრონტი.**

**სტამბოლი.** ივლისის 4. ზღვის სანაპიროებით გაცხოველებული საარტილერიო მოქმედებაა ორივე მხრით. საარტილერიო მოქმედება გაძლიერდა იერუსალიმ-ნაბლუსის გზით, იორდანეს დასავლეთით ჩვენ სროლამ აუტეხით მტრის ერთ ბატარეას. ბატარეის ახლო მყოფმა მტრის 3 ესკადრონმა სროლის გამო სამხრეთის მიმართულებით დაიხია. იორდანეს ორსავე სანაპიროთი მფრინავები მოქმედებენ. სხვა ფრონტიდან ცნობები არ მოსულა.

**ზღვაზე.**

**ლონდონი.** ივლისის 27. რეიტერის სააგენტოს ცნობა. ინგლისის ნაღმიამჭუსრავების პატრულებმა ივნისის 26-ს, საღამოს ბელგიის სანაპიროებზე მტრის 8 მმუსრავი შენიშნეს. ბრიტანიის მმუსრავები აღმოსავლეთით გაემართნენ სისწრაფე და დააბნიეს მტერი მოულოდნელი ცეცხლით. ოთხი საათის ბრძოლის შემდეგ მტრის ესკადრონს 3 მმუსრავი ნაღმოსანი მიემატა, რის შემდეგაც ჩვენმა ესკადრამ მთავარი ხაზისკენ დაიხია. მტერი არ დაგვედევნა და ბრძოლაც ამ შეტაკებით დამთავრდა. არც ერთი ჩვენი გემი არ დაზიანებულა.

## ს. დადიანის სიტყვა

უწინარეს ყოვლისა ბოდიშს ვიხდი ეროვნულ საბჭოს წინაშე იმის გამო, რომ ჩემს მოკლე სიტყვაში შეიძლება ცოტათი გადავცდე იმ საკითხს, რომელიც აქ გვაინტერესებს და ცოტა რამ საპირადო მოგახსენოთ, მაგრამ ეს მოხდა ჩვენს უნებურად, ეს გვაიძულეს სხვებმა და იმედი მაქვს ამ დროის დაკარგვას საბჭო მაპატიებს.

ეროვნულ-დემოკრატები აქ მთავრობას აყვედრიან ზედმეტ ლმობიერებას, იმას რომ იგი ვერ იჩენს სიმკაცრეს მთავრობისა და ჩვენი რესპუბლიკის მტრებისადმი და სხ. ამ მხრივ მე სრულიად ვეთანხმები მათ. ჩვენი მთავრობა, რომ სათანადოთ ექცეოდეს პროვოკატორებს და კონტრ-რევოლუციონერებს, მაშინ დიდი ხანია უნდა მოესპობილიყო ის ორი ბუდე კონტრ-რევოლუციისა, სადაც აგრე თავხედათ ფუთფუთებენ ჩვენი რესპუბლიკის მტრები.

თქვენ გეცოდინებათ, რომ აქ არსებობს ეგრედწოდებული „საოლქო კომიტეტი რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა", რომელსაც კარგა ხანია გამოეთიშა ქართველი სოც.-რევოლუციონერები, ვინაიდან იქ მოიკალათეს ყველა ჯურის პროვოკატორებმა, ცნობილმა ავდღეებმა, ლებედევმა და სხ. ამ კომიტეტს აქ თვისი ორგანოებიცა აქვს, სადაც ისინი ზხამს და გესლს ანთხევენ არა მარტო ჩვენ, სოც. ფედერალისტთა პარტიის წინააღმდეგ, არამედ თვით მთავრობისა და მართველ პარტიის სოც.-დემოკრატიის წინააღმდეგ. და აი ამ პროვოკატორების პროვოკაციულს წერილებს ავრცელებს ქართველს ხალხში მეორე ბუდე კონტრ-რევოლუციისა ეროვნულ-დემოკრატების გაზ. „საქართველო" თავისებური „სოუსით" მოკაზმულს, თავისებური სუნით შეხამებულს.

საუბედუროთ ადამიანებს კალამი და სიტყვა ხმალზე და ტყვიაზე ნაკლებ საშიშარ იარაღად მიუჩნევიათ. აი, ამ წამს აქ მივიღეთ სასტიკი კანონები იმათთვის, ვინც მახვილსა და ტყვიას მიმართავს მთავრობის საწინააღმდეგოდ; აი, ისეთი ხალხი, რომელნიც სიტყვით და კალმით სთესენ ღვარძლს, იწვევენ პროვოკაციას ძირს უთხრიან ჩვენს მთავრობას დღემდისაც დაუსჯელნი რჩებიან და არა თუ აქ, ეროვნულს საბჭოში სხედან, ქუჩაში მოედნებზე და სოფლებშიაც თავისუფლად აკეთებენ თავის შავს საქმეებს.

შემდეგ ჩვენი უბედურობა ის არის, რომ ჩვენს ხალხს არეული აქვს სხვადასხვა ცნებანი და თერმინები და ბევრი დანაშაულიც აქედან წარმოსდგება. მაგალითად საბჭოს წევრს რ. გაბაშვილს სრულიად არევია „მარადიორობა" და ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადება. მან მარადიორობა დასწამა აქ სოციალისტ-ფედერალისტთა რაზმს, მაშინ როდესაც ამ რაზმის საქციელი ნამდვილი თავგანწირვა იყო ხალხის ინტერესებისათვის, აი რა ჩაიდინა ამ რაზმმა ტრაპიზონში, რომელშიაც უკვე ოსმალთა ჯარები თარეშობდნენ; იმ ტრაპიზონში, სადაც ამ რაზმს ებრძოდა ბოლშევიკური ორგანიზაციები და ნაღმოსანიდან ჩვენს ტყვიებს ემუქრებოდნენ ის გახელებულნი მეზღვაურნი, რომელთაც ჩვენმა მთავრობამ ბათომში იარაღი აჰყარა. სოც.-ფედერალისტების რაზმმა ცეცხლიდან, ზღვის ტალღებიდან და მტრების ხანჯლიდან გამოიტაცა რამოდენიმე მილიონის ქონება და მოუტანა ქართველ ხალხს. ამ რაზმმა გამოიტანა ოცდა თორმეტი საუკეთესო ზარბაზანი, ამ რაზმმა დატვირთა თავის ბარჟაზე მეორე პოლკის მთელი ქონება, რომელიც მტერს უნდა დარჩენოდა; თავის ბარჟაზე მისცა ბინა ჯარისკაცთაგან ოთხჯერ გადარჩენილ 23 ტყვიისმფრქვეველს, საცოც ათასამდე პატრონა, რამოდენიმე ასი თოფი; ეს რაზმი დაეხმარა ინჟინერთა დრუჟინას დაეტვირთა ოცი მილიონად ღირებული ქონება, მაგრამ სამწუხაროდ ეს იგივ ბოლშევიკებმა გაიტაცეს ნოვოროსიისკში და მე ვამბობ ესეც იმიტომ, რომ ჩვენი რაზმი უკვე აღარ იყო ტრაპიზონში; ამავე რაზმმა თავის ბარჟაზე მოათავსა ტელეფონთა რაზმის ორი ათას ფუთამდე ქონება, რომელსაც ტრაპიზონიდან ვერ გამოიტანდნენ თუ არა ჩვენ; ამავე რაზმმა მოიტანა საომარი იარაღი იქიდან და აი ამ იარაღით იბრძვის ჩვენი მთავრობის მცირე რიცხოვანი ჯარები ოსმალეთის ფრონტზე, შინ და გარედ წესიერების დასაცავად და ყველა ამისათვის რაზმი სასიკვდილო განსაცდელში აგდებდა თავის სიცოცხლეს. ყოველივე ამას რ. გაბაშვილი „მარადიორობას" უწოდებს და უთუოდ დიდ დამსახურებად ის მიაჩნია, რომ მისი პარტიის წევრი ასეთ ტანჯვით გადარჩენილს ქონებას გაყიდვას უპირებს. („დაასახელეთ ვინ არის" ყვირიან ეროვნულ დემოკრატები). სამასი ათასი მანეთის ქონება ას ათასად მიაძლია ერთს პირს ადამაშვილმა.

„მარადიორობას" გვწამებს რ. გაბაშვილი ჩვენ და ტრაპიზონშიაც ბოლშევიკებიც ამ ქონების გამოზიდვას მარადიორობას უწოდებდნენ. ჩვენ იქაც გაგვამართლეს ამის გამო და იცით რა რეზოლუცია მიიღო ჩვენ შესახებ შეერთებულმა კრებამ ეროვნულ საბჭოისამ, სამხედრო საბჭოისამ და პოლკის კომიტეტებისამ? აი სიტყვა-სიტყვით ეს რეზოლუცია. შეერთებულმა კრებამ იქონია მსჯელობა რაზმის მოქმედების შესახებ და სცნო მისი მოქმედება სრულ სამართლიანად და კრება სთხოვს რაზმს გამოგზავნოს თავისი წარმომადგენლები საბჭოსთან კონტაქტში სამუშაოდ. რაც შეეხება იმ ბრალდებებს, რომელნიც რაზმის წინააღმდეგ იყო კრებაზე წარმოდგენილი ცნობილ იქნას გაუგებრობის შედეგად და ქუჩურ ჭორებზე აშენებულად"-ო და აი ამ ქუჩურ ჭორებს კრეფს რ. გაბაშვილი დღესაც და სიამოვნებით ჰყუმპალობს ჭუჭყში, მაგრამ ეს მისი გემოვნების საქმეა. ყოველ შემთხვევაში ღვიდან მაინც უნდა დაეუძღეს ვისაც სინდისი შერჩენია, მაგრამ ეროვნულ-დემოკრატებს ყოველთვის ავიწყდებათ ერთი ვაჟკური ანდაზა: სინიდისიც კარგი საქონელია-ო თუმცა ვაჭრების წარმომადგენლად კი გვეცხადებიან. რ. გაბაშვილის ბუნება ასეთია, მე კარგად ვიცნობ მას, ვიცნობ ტაშკენტის ამბებს სინიდისი რომ ქონდეს, უნდა ჩუმად იყოს.

## ახალი ამბავი

◆ ქ. შ. წ.-კ. გ. ხ. მთავარმა გამგეობამ დაადგინა სრულიად საქართველოს კათოლიკოზის კირიონ II-ის დაკრძალვას დაესწროს მთელი შემადგენლობით. წარმომადგენლობა მიანდო თავმჯდომარეს გ. ნ. ყაზბეგს და მის ამხანაგს დ. გ. კარიჭაშვილს.

◆ **ქალაქის საბჭოს კრება** ხუთშაბათს, ივლისის 4-ს, არ შესდგა ხმოსანთა დაუსწრებლობის გამო, თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე დაბეჯითებით სთხოვს ფრაქციებს აიძულონ ხმოსნები საბჭოს სხდომებს დაესწრონ.

◆ **ავაზაკების დახოცვა.** ივნისის 4-ს, შუაღამისას, საბერთალოზე ავაზაკებსა და სახალხო გვარდიელებს შორის შეტაკება მოხდა. გვარდიელებმა ავაზაკებს ალყა შემოარტყეს და ორი დაიჭირეს. გზაში გაქცევისას ორივენი მოკლულ იქნენ.

◆ **ჰინდენბურგის ბრძანება.** ჰინდენბურგმა აგრარული საკითხის მოგვარებისათვის და ყაჩაღების თავიდან ასაცილებლად ბრძანება გამოსცა, რომლის ძალით აღმოსავლეთ ოლქებში უსახლკარო ლტოლვილებს ნება აქვთ დაამუშაონ დაუმუშავებელი მიწები.

◆ **ტფილისის დამცველმა შტაბმა** შეიპყრო: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ პროპაგანდისათვის ილ. ამფილიადის. საქართველოს მთავრობის წევრის გალანძღვისათვის პორუჩ. შავგულიძე. პროვოკაციისათვის პ. კურანი. საწყობიდან მარილის მოპარვის განზრახვისათვის ჯარის-კაცები ოზიანცი, გულიჩინი და კიპილოვი.

◆ **ტფილისის ქალთა ინსტიტუტში.** სიმწიფის მოწმობა ხუთმა ქართველმა ქალმა მიიღეს: ა. აბელდიანმა, მ. ბერეჟიშვილმა, გ. დარახველიძემ, ნ. ხომასურიძემ და მ. ჯაფირიძემ.

◆ კვირას ივლისის 7-ს საღამოს 7 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში დანიშნულია „განათლების" საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება. კრების საგანია ხელნებულ საზოგადოების სემინარიის მთავრობისათვის გადაცემა.

## სოფლად და ქალაქად

**გორი.**

◆ ივლისის 8-ს ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად გორის სცენაზე ცნობილი ისტორიული პიესა „თამარ ბატონიშვილი", მონაწ. მიიღ. ელ. ანდრონიკაშვილი, ივანიძე, გვარამძე და სხვანი.

**ახალციხე.**

◆ ორი თვის განმავლობაში მაჰმადიანთა სასტიკმა ბრძოლამ ოსალეთის დახმარებით აახრა და ერთიან გაანადგურა მთელი ახალციხის მაზრა. ქართველთა სოფლები მხოლოდ დღეს, ნახევრები წარმოადგენს, ბევრი სოფელი დაიწვა მტრისგან, და დანარჩენი დაარბია და გაანადგურა, ასე რომ ახალციხელ გლეხს ალარაფერი მოეპოვება, ხარკამჩრამდე გაძარცვეს. ერთი ქინახული ნათესი აქვს დარჩენილი, იმასაც ახლა უნადგურებენ ადგილობრივი მაჰმადიანები, შეჰყავთ საქონელი და აჭმევენ, ამის გამო გლეხები ეპირებიან ადგილობრივ კომენდანტ ბააკ-ბეგთან წარდგნენ საჩივლელად, რომ ქინახული აიხსნან გადურჩეთ ისეც გაობრებულის და დამშეულ გლეხებს. ადგილობრივ ქართველი ქრისტიანი გლეხები შიშობენ, ვაი თუ არ შეგვასვენონ ადგილობრივმა მაჰმადიანებმაო და ფიქრობენ გადასახლებასა. გლეხობა კიდევ არ დარწმუნებია თავიანთ გაპარტახებულ კერას და ქალაქის მახლობელ სოფელ ანდრია წმიდას და ღრელს შეხიზნული არიან, რომელიც გადაურჩა გადაწვასა და დარბევასა. ადგილობრივი მეზობელი მტრები კბილებს ულესავენ ანდრია წმიდელებს, როგორ გადარჩით განადგურებასა, ახლა კი რიგი თქვენზე მიდგა გაგანადგუროთო, ემუქრებიან ამ სიტყვებით. კომენდატის ბრძანებით—ბორჯომის გზა კიდევ შეკრულია და არავის უშვებენ, არც ფოსტა დაიარება. დღეს, მოვიდა პირველი ფოსტა ბორჯომიდან, რომელმაც სხვისთვის გაზეთები და წერილები მოგვიტანა, ქალაქში დიდი სიყრუეა. დღეს, ივნისის 9-ს გავა ქართული ბატალიონი ქალაქიდან და წავა ბორჯომში სამი ათასი ოსმალოს სალდათი მოვიდა აქ ივნისის 7-ს.

**ხარაგოული.**

◆ კვირას, ივლისის 7-ს, ადგილობრივ ინტელიგენციის თაოსნობით, საქართველოს სახელმწიფოს დემოკრატიულ რესპუბლიკის გამოცხადების აღსანიშნავად, გაიმართება გრანდიოზული საღამო, რომლის წმინდა შემოსავალი გადაიდება ჯავახეთ-მესხეთიდან გადმოხვეწილ ლტოლვილების სასარგებლოდ.

## კირიონის გარდაცვალების გამო

მისი უწმინდესობის სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის კირიონ II გარდაცვალების გამო საძმიმარი გამოუცხადეს მისს მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობას სრულიად საქართველოს კათოლიკოზ—პატრიარქის მოსაყდრეს, ტფილელ მიტროპოლიტს ლეონიდეს შემდეგმა დელეგაციებმა: გერმანიის და ავსტრიის სამხედრო მისიების წარმომადგენლებმა, ბერძნების არქიმანდრიტმა პატრიკიმ, ტფილისის სომხის სამღვდელოებამ, ლიუტერანთა პასტორმა მეიერმა, უკრაინელების დელეგაციამ მღვდ. სტეფანე ორლიგის მეთაურობით, საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტის, ტფილისის ცენტრალურ კომიტეტის და სტუდენტთა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა.

—

**სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის კირიონ II დამკრძალავ კომიტეტისაგან.**

მისის უწმინდესობის ნეშთი გამოსვენებულ იქნება ანჩისხატის ტაძრიდან კვირას ივლისის 7-ს დილის სწორედ 9 ნახ. საათზე.

სამგლოვიარო პროცესია გაემართება ანჩისხატის, მუხრანის, პუშკინის ქუჩებით და შუაბაზრით სიონის ტაძარში, სადაც გადახდილ იქნება წირვა და ანდერძი, რის შემდეგ მისის უწმინდესობის კუბო სამჯერ შემოტარებულ იქნება ტაძრის გარშემო და დაკრძალული სიონის ტაძარში.

ერის კაცნი სიტყვებს წარმოსთქვამენ სიონის გალავანში, ხოლო სამღვდელო პირნი თვით სიონის ტაძარში.

სიტყვის წამოთქმის მსურველთ წინდაწინვე უნდა განუცხადონ თვისი სურვილი დამკრძალავ კომიტეტს.

ყველას, ვისაც რაიმე მონაწილეო-

## საქართველო და გერმანია

(გაგრძელება *)

დიახ, იძულებითი იყო საქართველოს მიერ გერმანიისკენ გადადგმული ნაბიჯი, და ეს გამოწვეული იყო რუსეთის რევოლუციის და ამიერკავკასიის მთლიანობის დანგრევით. მოცილებული პირველსაც და მეორესაც, საქართველო გამოცხადდა დამოუკიდებელ, სუვერენ სახელმწიფოდ. მაგრამ რუსეთს რომ მოვწყდით, რევოლუციას არ მოვწყვეტივართ, და თითქოს ვასრულებთ ჩხეიძის აღთქმას, დემოკრატიულ თათბირზე რომ სთქვა პეტერბურგში: „და თუ რევოლუცია დაიღუპება რუსეთში, საქართველო გადაიქცევა რევოლუციის თავშესაფრად". ეს თითქმის ასეც მოხდა, და რუსეთის შემადგენელ ნაწილთა რიგიდან, საქართველოში ყველაზე თამამად შეიძლება საუბარი რევოლუციის მიერ მონაპოვარ თავისუფლების შესახებ. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენში რევოლუცია უმწიკვლო დარჩა. არა. რევოლუცია ყველგან შეილახა, მაგრამ ამ ყველათა რიცხვში საქართველოში ყველაზე ნაკლებ. დიახ, საქართველო მოსწყდა რუსეთსაც და ამიერკავკასიასაც. დღეს საქართველო დამოუკიდებელია. თვით არის თავისი გამგეც და პატრონიც. ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ საქართველოს მთავრობა დემოკრატიულია. და ეს დემოკრატიული მთავრობა იცავს საქართველოს სუვერენიტეტს. თავისთავად კაპიტალისტურ ხანაში სოციალისტური მთავრობის არსებობა ულოღიკობაა, შეუძლებელი პრინციპიალ თვალსაზრისით, მაგრამ რადგან მთავრობა რევოლუციამ შექმნა, მთავრობის გადადგომაც რევოლუციის დამარცხებას გამოიწვევდა. რევოლუციასთან კი თვით საქართველოს ბედი არის დაკავშირებული. საქართველოს სუვერენობა, დამოუკიდებლობა უსათუოდ რევოლუციის წიაღიდან არის ამოჭრილი, ხოლო მისი დაბადების დღე კი გარეშე ძალის დატანებით მოსწრაფებული.

დიახ, საქართველოსთან იყო რევოლუციის ბედი შერთული, და მიტომაც სოციალისტურმა მთავრობამ ისევ უტაქტობა არჩია, ვიდრე ხალხის ღალატი. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. თვით უკიდურესი სოციალისტებიც კი ლენინ-ტროცკი, თვით ისინიც კი მოექცნენ მთავრობას სათავეში, და ერთდროულად რუსეთში რომ სოციალისტურ ლოზუნგებს აიაფებდნენ, ბრესტში იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან დიპლომატიურ ჰადრაკს თამაშობდნენ. ეს, რასაკვირველია, ასე არ მოხდებოდა, რომ ბურჟუაზია ძლიერი ყოფილიყო. მაგრამ თუ რუსეთში ბურჟუაზია ცოტა მაინც არის, ჩვენში იგი არ არსებობს და, მაშასადამე, მთავრობის მოკისრედ მხოლოდ სოციალისტები უნდა გამოსულიყვნენ. რა უყოთ, რომ გაზ. „საქართველო" კრიჭაში უდგას მთავრობას და მუდამ ჟამს ჩასჩიჩინებს: „მთავრობა სახელმწიფო ელემენტებს დაუთმეთო", მათ მაინც ხელი ვერ დაუდვიათ, თუ სად არიან ეს „სახელმწიფო ელემენტები"? თუ თავიანთი თავი ჰყავთ მხედველობაში, მაშინ, რასაკვირველია, ამგვარ ელემენტთა გვერდით არც კი უნდა შეჩერდეს სახელმწიფო ეტლი, სხვას კი არ ასახელებენ. თუ ბურჟუაზიას ჰგულისხმობენ, მაშინ გვ ჩვენონ სად არის ეს ბურჟუაზია, არა თავის მდგომარეობით მხოლოდ, არამედ შეგნებითაც. თუ თვით მოაქვთ „საქართველოელებს" თავი ბურჟუაზიის წარმომადგენლებათ, მაშინ თვითაც არა ყოფილან რა, ისევე, როგორც არ არის ქართული ბურჟუაზია. მარტო ყვირილი მიმდინარეობას ვერ შექმნის. ისე რომ აღდგენილ საქართველოს ან სოციალისტური მთავრობა უნდა ედგეს სათავეში, ანდა საქართველო ვერ იარსებებს. ის დემოკრატიზმი, რომელიც ჩვენს სახელმწიფოს დაედო საფუძვლად, მხოლოდ სოციალისტებს შეუძლიათ შეინახონ და დაიცვან. და თუ ეს ვერ მოხერხდა, მაშინ საქართველოს შენახვას არა-სოციალისტები ვერ მოახერხებენ და ალბად სხვა რამ გზით გადაწყდება ჩვენი ყოფნის საკითხიც. დღესდღეობით კი ახლად ფეხადგმული საქართველო დიდი გაჭირვებით იკვლევს გზას, და უნდა ითქვას, რომ იეუხედავად იმ მოუწყობლობისა, რომელსაც საქართველოში ვხედავთ, მაინც სჩანს ჩვენი გამოსავლების და სახელმწიფოებრივ განმტკიცების ნიშნები. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს მდგომარეობა განსაკუთრებითია. ირგვლივ უკულტურო უდაბნო გვახვევია. ისლამის რკალში ვართ მოქცეული, და მაინც ვაწესრიგებთ ცხოვრებას, მაინც უძლვებით სახელმწიფო შენებას. საქართველოს სუვერენიტეტს მაინც ვიცავთ, თუმც ხელისშემშლელიც ბევრი გვყავს, რა უყოთ, რომ ოპოზიცია ბევრს ლაპარაკობს მთავრობის უსუსურობაზე, ესლა დარჩენიათ და ლაპარაკობენ. შემოქმედებითი მუშაობა მათ ვერ შესძლეს და ნაკლთა ჩვენებით-ღა კმაყოფილდებიან. „პასუხისმგებლობას ვერ ვიკისრებთო", სთქვეს იმ დროს, როდესაც საქართველოს არსებობის საკითხი დაისვა გადასაჭრელად. იმას კი ვერ ჩაუკვირდნენ, რომ მოჯადოებულ წრეში ექცეოდნენ. თუ საქართველო დაილუპებოდა, პასუხისგება არავის დასჭირდებოდა, რადგან თვით საქართველო, პასუხის მომთხოვი აღარ იქნებოდა. ხოლო თუ საქართველოს გადავარჩენდით, მაშინ ეს პასუხისმგებლობა უადგილო იყო, რადგან, როგორ შეიძლება სიკეთეზე პასუხი აგებინო კაცს. ეს ფორმალურად. არსებითად კი სწორედ დღეს დასჭირდებათ პასუხისგება, რადგან აღდგენილი და განმტკიცებული საქართველო, როცა ჰკითხავს მათ—შენ რაღა გააკეთეო, „საქართველოს" დაუდეგარი პარტია პასუხს ვერ მისცემს. ოპოზიციაში ვიდექით, მაგრამ ოპოზიციას აქვს თავისი აზრი არა მაშინ, როცა იწვის ყოველივე, არამედ სტიქიურ პირობათა გარეშე. და უნდა დამეთანხმონ ე. წ. ნაციონალ-დემოკრატები, რომ საქართველო იმ დროს, როცა მათ ოპოზიციის საქანელა ჩამოიხეს, სწორედ იმ დროს საქართველო მოუწყობელი სტიქიონი იყო. საქართველოს დამოუკიდებლობა ილუპებოდა, ერ.-დემ-ბი კი ქანაობდნენ და ქანაობდნენ თავიანთი ოპოზიციის ბავშვურ საქანელაზე. ალბად, ხელმეორედ გამოსცდის მათ საქართველო.

ის პარტიები კი, რომელნიც საქართველოს პოლიტიკურ ტკივილებმა შეაერთა, შეეცდებიან ლელოს გატანასაც. საქართველოს რესპუბლიკის სუვერენულ უფლებებს დაიცავენ მთელი თავისი არსებით. ამის თავდებია უკანასკნელ ხანის შეთანხმებითი მუშაობა ერისა და რევოლუციის საკეთილდღეოდ, თუმც უნდა ითქვას, რომ მხოლოდ საქართველოსთვის მეტად ძნელი იყო მხოლობითი არსებობა. მოკავშირე აუცილებელი იყო, და საქართველოს მთავრობამაც გამონახა იგი. ეს ახალი მოკავშირე გერმანიაა. ჩვენ რასაკვირველია იმას არ ვფიქრობთ, რომ ეს კავშირი ჩვენ გაგვაიდეალებდეს, რომ გერმანიის მიერ გამოწვდილი ხელი ჩვენდამი სიმპატიებით აიხსნებოდეს. არა გერმანია ჩვენში მაშველ ჯარს რომ ჰგზავნის, ამ ჯარის წინ და უკან კომივოაჟერები დადიან, სავაჭრო გეგმებით და საანგარიშო წიგნებით დატვირთულნი. მაგრამ ჩვენც ანგარიშზე ვამყარებთ ჩვენს მეგობრობას. ჩვენც გვინდა რომ ჩვენი პატარა რესპუბლიკა დიდმა სახელმწიფომ თავის ქომაგობის ქვეშ იყოლიოს, რომ ამ გზით გადავარჩინოთ ჩვენი ერი ათასგვარ მტერთა სისხლიან ნავარდობას. გერმანია ძალას გვაძლევს, ჩვენ—ქონებას. შეიძლება ეკვივალენტური არ იყვეს ჩვენი გაღება და მათი მოგება, შეიძლება ჩვენ ვზარალობდეთ, მაგრამ აქ საკითხი ასე არ ისმის. საკითხი ამგვარია: დიდი ზარალი თუ მცირე? რასაკვირველია მცირე. და ამ მცირე ზარალის სახელი არის ეკონომიური დაქვემდებარება. დიდი ზარალი კი, პოლიტიკურ-ეკონომიურ დამონებით გვაქვს წარმოდგენილი, რაც აუცილებელი იყო, რომ გერმანია არ მოგვეშველებოდა. ეს ცხადი უნდა იყვეს ყველასთვის, და რა თვალითაც არ უნდა უცქეროდეთ გერმანიას, ამის დადასტურება ყველას დასჭირდება. გერმანია დაგვეხმარა გარეშე მტრის შეჩერებაში, მაშასადამე ამითვე დაგვეხმარა ჩვენი დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში. და დღეს საქართველოს სუვერენობას ჰპატრონობს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, გერმანელთა დახმარებით. გერმანელთა დახმარებითვე აღვადგენთ საქართველოს საზღვრებს. და აღვადგენთ არა ძველ რეალურ მოსახლეობის პრინციპით, არამედ ისტორიულ სტრატეგიულ-ეკონომიურ პრინციპთა მიხედვით. ეს ჩვენთვის აუცილებელია. საქართველოს დამოუკიდებლობას ჩვენ წინააღმდეგ ვერ დავიცავთ. საქმე იმაშია, რომ სხვა ერთა პრესა ამ საკითხის გარშემო დიდად აკამათდა, და ჩვენ მთავრობას და ხელმძღვანელ პარტიებს უკიჟინა ინტერნაციონალის ღალატი და თვით შოვინისტობაც კი დასწამა. მაგრამ ეს კრიტიკა „ბრაზიანი უძლურების" ცნაურება უფრო იყო, ვიდრე პოლიტიკოსის დალაგებული მსჯელობა. ნამდვილი პოლიტიკოსები კი სულ სხვა გვარად ლაპარაკობენ. პოლიტიკოსები არა „იმ ბანკიდან", არამედ მშრომელ კლასის წიაღიდან გამოსულნი. მებრძოლნი ამავ მშრომელთა პოლიტიკურ და ეკონომიურ თავისუფლებისათვის.

საქართველოს სხვებისთვის არაფრის წართმევა არ განუზრახავთ და არც განიზრახვენ, ვიდრე საქართველოს რესპუბლიკის მართველობას დემოკრატები და სოციალისტები ედგებიან სათავეში. ხოლო ბურჟუაზიის აღვირწახსნილობას, ჩვენ თანაბრად შევებრძოლებით, ქართველი იქნება იგი ბურჟუაზია თუ უცხო. ხოლო თუ ტფილისის გუბერნია მთელი თავისი ეკო-

*) იხ. „სახალხო საქმე" № 272.

ბა სურს მიიღოს სამგლოვიარო პროცესიაში, აგრეთვე უნდა აცნობონ თავიანთი სურვილი დამკრძალავ კომიტეტს.

სიონში შესასვლელი განსაკუთრებული ბილეთები არ იქნება, წირვაზე და ანდერძზე დასწრება შეუძლიან ყველა მსურველს, რამდენსაც სიონი დაიტევს. დატოვებულ იქნება მხოლოდ განსაკუთრებული ადგილი მთავრობის და უცხო ერთა წარმომადგენელთათვის, აგრეთვე დელეგაციებისათვის და პრესის წარმომადგენელებისათვის.

დელეგატებმა და პრესის წარმომადგენელებმა წინდაწინვე შაბათ საღამოს უნდა გამოუცხადონ თავისი სურვილი დამკრძალავ კომიტეტს და მიიღონ კომიტეტისგან განსაკუთრებული ბილეთები და მხოლოდ ამ ბილეთებით შეიძლება შესვლა დელეგატთათვის დამზადებულ ადგილს.

ტანისამოსის ფორმა—საპარადოა.

ტფილისის სამღვდელოებას ევალება წირვა ადრე გაათავოს და დილის 9 საათზე უკლებლივ გამოცხადდეს თავისი სამოსელით ანჩისხატის ტაძარში; სავალდებულოა აგრეთვე დაკრძალვის დღეს დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 ნახ. საათამდე მოეწყოს განუწყვეტელი სამგლოვიარო ზარის რეკვა ყველა ეკლესიებში.

—

კათოლიკოსი კირიონ მე-II-ის ნეშტს დაკრძალავენ სიონის საკათედრო ტაძარში იოანე მანგლისელის საფლავის გვერდზე.

—

საქართველოს კათალიკოს პატრიარქის კირიონ მე-II-ის დაკრძალვაზე დასასწრებლად ტფილისში ჩამოვიდა ქუთათური მიტროპოლიტი ანტონი. დამკრძალველმა კომიტეტმა თითქმის ყველა სარწმუნოების სამღვდელოებათაგან მიიღო წინადადება დაკრძალვაზე მონაწილეობის მიღების შესახებ.

(დეპეშა)

ოზურგეთი ივლისის 4. სამკვირიკობისთვეს ოზურგეთის კრებულმა მოისმინა რა უდროოდ დაკარგვა ძვირფასი მოძღვარის კირიონისა, გამოსთქვა დიდი მწუხარება და ფეხზე ადგომით პატივი სცა მის ხსოვნას.

თავმჯდომარე ოლღა დადიანი
მდივანი თამარ აბაშიძე

სხვა გაზეთებს გთხოვთ გადასცეთ.

# სოფელში.

## უცნაური ფიქრი.

[illegible]

ცა და არ იცი ამ ჩვენს დროში, რომელი მოქეიფე ლოთის, ან ნაყაჩაღარ, ნასტრაჟნიკალ ბოლშევიკის ტყვია გიმსხვერპლებს, კაკაბეთი ხომ ბუდეა ამგვარი ხალხისა. ორი დღით ვესტუმრე ჩემს მშობელ კერას დასასვენად, მაგრამ რაც ქალაქში, ყაზარმაში დარდები და ფიქრები მაწუხებდა იმას კიდევ მიემატა იმაზე ფიქრი, რომ ჩემი საშობლო სოფელი და მთლად ივრის ხეობა მოჩვენარო ძალისაგან ამოწყვეტილია „ბოლშევიკებისაგან“ აქ ერთი კატორღიდან გამოქცეული გახლავთ, რომელიც წინად სტრაჟნიკი იყო, მერე ავაზაკობისათვის სტრაჟნიკობიდანაც გამოაგდო ძველმა მთავრობამ, მერე 1906 წელს ყანდაურაში ხუციკელაშვილებს დაეცა, აიოხრება, გამოიცვა, მთავრობამ შეიპყრო იგი, კატორღაში გაგზავნა და ეხლა იქიდან დაბრუნებული ბოლშევიკია, დადის სოფელ-სოფელ და ხალხს აჩხედრებს საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ. ბევრია საიდუმლოდ ჩამიჩურჩულა ყურში; ესა და ეს კაცი ბოლშევიკია და აია იმისას რას დაგიჯერებთ, მაგრამ ხომ ლოგიკის ხელით ეხლა მალე და უფლება ქურდების და ავაზაკების ხელშია და ამისათვის ხმა ვერ ამოგვიღია, მით უმეტეს რომ მთავრობა ურსადა ჩანს. მართალიცა დ საკვირველია ჩვენი მთავრობის საქმე: მთელ დედამიწის ზურგს შეაღუღოიხა საქართველოს დამოუკიდებლობა, თავისი თავის არსებობა და იმ სოფელს, იმ გლეხკაცობას კი არაფერი გააგებინა თავის თავზე, რომლისთვისაც იშვა და რომლის ყურის მგდებელიც უნდა იყოს. მეკითხებიან, ვინ არის ჩვენი პატრონი, ვის ვეკუთვნით, მთავრობა გვყავს თუ არა. მართლაც აბა რა უნდა გაიგოს გლეხმა, ყოველ დღე კომისარსა სცვლიან სოფელი ხელში უჭირავს ხაძირალებს, ქურდებს, ქვეყნის დამღუპველებს, თავისთავს „ბოლშევიკებს“ რომ ეძახიან, ხალხი საუფრაში ხეტავ როდის იქნება მთავრობა გვყავდესო.

### იარაღი.

ვისაც კი სიარული და ფეხზე დგომა შეუძლიან, ზურგზე ვინტოვკა ჰკიდია დ მთელი დღე დ ღამის განმავლობაში გაისმის სროლა. ბევრი ახალგაზრდა შეუხსება, ხელა მოვიდეს მთავრობა დ ჩამოგვართვისო, ალარ გვინდა იარაღი, ოღონდ მუშალისაც აჰყარონ და თუნდა ჯერ დავემხარებით მთავრობას მუსლიმ თათრების იარაღის აყრაში და შემდეგ ჩვენ თვითონ მიგ-

[illegible]

იმგორამ მითხრა, ეხლა რომ გამგონო ჩემ შაქროს ეგა, ეხლავე გამოიქცევა და არც მეწყინება, ოღონდ ქვეყანა დაამშვიდოს მთავრობამაო. ყველა დაჟინებით ამბობს, მოვიდეს მთავრობა კომისარი დაგვინიშნოს ისეთი, რომ ხალხს არა ჰქონდეს ნება იმის დაუკითხავად გამოსცვალოს. დაგვიბაროს ჯარში და სუყველანიც წავალთო. მე ძალიან ძნელად უჯერებ ადამიანს მაგრამ ეს სიტყვა კი გულწრფელად არის ნათქვამი გლეხების მხრივ. მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ მთავრობა სოფლად არ მიდის თითქო ქალაქის პროლეტარს (რაც საქართველოს არა ჰყავს) ვერ გასცილებია და იბსენისა არ იყოს ქალაქის მუშისათვის გაკეთებულმა ზარმა მთებისთვის არ დარეკა. მთავრობამ ამას ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს.

### კვთობა

კაკაბეთში ძიდის დღეობა კვთობა. წელს 30 თიბათვეს იყო კვთობა. ამოდება ხალხი, წელს რომ იყო არასოდეს არ ყოფილა. ქეიფობა უკვეთეს ალარ შეიძლება, როგორიც წელს იყო. ქეიფობის რაში სულ, მაუშვა ალვირი ქართველმა ხალხმა და ალარ იცის რანაირადღა იქეიფოს; აღარ იცის სად დახარჯოს, როგორ გაანიავოს თავისი სარჩო საბადებელი. მაგრამ ის უნდა ვსთქვათ რომ ყველაზე მხიარულები და თავისუფლად თავის გრძნობახი მაინც არა ქართველები არიან, თუმცა ეს ყველაფერი საქართველოს რესპუბლიკაში ხდება, ყოველ წელს კაკაბეთში ახალი ელემენტი, ახალი მეორეხლეები მატულობენ, არარატის რესპუბლიკიდან გამოქცეული დაზ-ნაკლები აქ სახე-მზიახად არიან და თუმცა გუშინდელ ჩამოსულებს ბარგი ჯერ არ ჩამოუხდიათ, მაინც კარგ ალაგზე სხედან და განცხრომას მისცემიან საქართველოს რესპუბლიკაში რომელიც მათის აზრით მალე ჰმ!.. დაეცემა ბოლშევიკების ხელით. ამის ფიქრით ნექტარი ღვინი გადაჰკრავთ პირზე და ქეიფობენ, სვამენ ბოლშევიკების სადღეგრძელოს. აქ მაგონდება ერთი ჩვენი სოფლელი კაცი, რომელსაც „საპრიშოლა“ ეძახდენ. ეს უაწვილი ყველა წვეულებაში, ქორწილში დ ქეიფში გაჩნდებოდა ხოლმე სწორედ იმ დროს, როცა სუფრა უკვე გაშლილი იყო და ქეიფის მეტი აღარა უნდოდა-რა. გაჩნდებოდა და ზემოთაროსაც მოიკეცავდა ხოლმე. ამისათვის ხალხმა „საპრიშოლა“ დაარქვა სახელადა და მეც საპრიშოლას ვამსგავსებ იმ გამოქცეულ ხალხს, რომელიც სხვისა ოჯახში სუფრის თავს წამომჯდარა დაუპატიჟებელი. მაგრამ ამას ჯანი გავარდეს, ქართველი ხალხი სტუმართმოყვარეა და აუტახთ დაუპატიჟებელი სტუმრების ყოლასაც, მაგრამ ეს რაღა ცეცხლია, რომ ჩვენს ოჯახში ჩვენსავე დაღუპვასა ცდილობენ და ყოველ ჩვენს უბედურებას სი-

ამოვნებით მოელიან? ჩვენ ამას ველარ ავიტანთ.

### ქართველი სომხები.

კაკაბეთში არიან სომხები, რომელთაც არც კი იციან, თუ ისინი სომხები არიან. ესენი ქართველ გლეხსავით დღესა და ღამეს შრომაში ატარებენ და პატიოსნური შრომითა ცხოვრობენ. ბევრს მათგანსა სწყინს, როცა ეტყვიან სომეხი ხარო და არც დაიარება თავის ეკლესიაში. აღდგომა, დღეობა,—ყველა სალოცავი ქართველებისა სწამთ და ბევრ შემთხვევაში ქართულ საყდარში ეზიარებიან ხოლმე. ამ სომხებს წელიწადში ერთხელ, ორჯელ თუ ნახავთ: ან აღდგომა დღეს ქართულ ეკლესიაში, ან შობა დღეს, სხვა დროს სულ მინდორში და სამუშაოზე არიან. არც ისე ადვილად ასდევენ ქალაქიდან მოსულ წარა-მარა ხაორთაქალაქ კინტოებს, რომელნიც ხალხის ყვლეფა-გაძარცვაში ატარებენ დროსა და ამავე მიზნითაც მოდიან ხოლმე.

### მეორე სომხები.

მაგრამ არიან ისეთი სომხებიც, რომელნიც წლის განმავლობაში სულ დუქნების წინ ყრიან, ქეიფობენ და „აქეიფებენ“ ქართველ გლეხესაც, რომელნიც ყელთამდე ვალით ივსებიან და ანიავებენ თავიანთ ქონებას. ეს ხალხი მეარდნებია, ნაჯიგირალი და ერთი სიტყვით, ორთაქალელები. ლაპარაკობენ ბოლშევიკების „გმირობაზე“, მათ „კაი ბიჭობაზე“ და ვინ იცის რა ქება-დიდებით არ იხსენიებენ შაუმიანს. მათის აზრით, არ არსებობს მთავრობა შაუმიანის გარდა. ჩხენკელმა საქართველო, სომხეთი და რუსეთიც კი გაჰყიდა და შაუმიანი იხსნის მას. ქადაგდი არ მეყოფოდა, რომ ყველაფერი დამეწერა, რასაც ისინი ლაპარაკობენ საქართველოს მთავრობაზე. ამ სომხების ჯგუფი დღითი დღე იზრდება და მათ ირგვლივ იკრიბება ქართველობაც. აი, ასეთი სომხები ბლომად არიან კაკაბეთში.

ი. მჭედლიშვილი.

(დასასრული იქნება)

# კიდევ ფინანსიური და ეკონომიური საკითხებისათვის

სოფლებში თუ ქალაქებში დღითიდღე იზრდება ფასი სანოვაგის; დუქნებში თუ მაღაზიებში დღითი დღე ემატება ფასი საქონელს; მუშები თუ მოსამსახურენი დღითი-დღე სამუშაო ხელფასის გადიდებას მოითხოვენ..,

ყველა იმის ცდაშია—მეტი „წაგლიჯოს, მეტი აილოს, მეტი ფული შეაგროვოს, მაგრამ... ყველა, თითქმის ყველა (წმინდა წყლის სპეკულიანტების გარდა!) უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება...

ეხლა როგორც კი ვინმე ფულს ხელს შეავლებს, მაშინვე ჯიბეში იკუჭავს და, თუ წინად ბანკში მიარბენინებდა შესანახად, ეხლა მას შავი ჭირივით გაურბის, თუნდაც გადასაყრელი რომ ჰქონდეს; თუ წინად რომელიმე სანდო კაცისთვის მთელი საცხოვრებლის გადაცემა არ გაუჭირდებოდა, დღეს ორიოდე გროშის მისესხებაც კი საშინლად უძნელდება... ფულს თითქოს არავინ არაფრად აგდებს, მაგრამ ის მაინც კულტად არის გადაქცეული და ბევრი, გაცილებით უფრო ბევრი, ვიდრე წინად, ფულის გულისთვის სინდისსაც და პატიოსნებასაც ადვილად ჰყიდის... დღეს თითქმის ყველას ბევრი ფული აქვს, იმდენად ბევრი, რომ წინად სიზმარშიაც არ მოელანდებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა თითქმის ყველას სიმშილით კუჭი აქვს მიმწვარი... ერთი სიტყვით, რამდენად ბევრია ფული, იმდენად მეტია გაჭირვება...

რაშია საქმე?

საქმე იმაშია, რომ დღეს ფული არ ფულობს, მანეთი არ მანეთობს, რომ ფულის ფასი საშინლად დაეცა, და ამ ნაირად საქონლის ღირებულებამ წარმოუდგენლად აიწია...

მაშ საქმე იმაში კი არ არის, რომ ბევრი ფულს მოუყარო თავი, არამედ საჭიროა შექმნა ისეთი პირობების, რომელნიც ფულის ღირებულებას შესაფერ სიმაღლემდე აიყვანენ.

ეხლაც ზოგიერთ რაიონებში პურის მაგიერ მანუფაქტურას, ფეხსაცმელებს და სხვა საქონელს თხოულობენ; და თუ ფულის ფასის დაცემა იმავე პროპორციით გაგრძელდა, როგორც ამდენხანს წარმოებდა, სულ ახლო მომავალში, ჯიბეები ფულით რომ გქონდეთ გამოტენილი, მაინც ვერაფერს იშოვნით.

აი, ამას უნდა ყურადღების მიქცევა, და ასეთ საშუალებების თავიდან ასაცილებლად საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება და მხურვალე მონაწილეობა როგორც მთავრობის, ისე საზოგადოების მიერ; უყურადღებობა და გულგრილობა კი ასეთ სერიოზულ საკითხში ყოვლად შეუწყნარებელია და ეს მიდალატეობას უდრის, ვინაიდან არსებული სიტუაცია ქვეყანას დაღუპვისაკენ მიაქანებს.

თუ თვითოეულმა მხოლოდ თავის თავზე იზრუნა, ეცადა მეტის „წაგლეჯა“ და „ჩაჯიბვა“, თუ ნდობით არ მოეპყრა საკრედიტო დაწესებულებებს და ხელი არ შეუწყო ფულის ბრუნვას, პირიქით უნებლიეთ დაეხმარა ფულის საბეჭდავ მანქანების განუწყვეტლივ და ინტენსიურ ტრიალს,—მაშინ ყველა ჩვენგანი ქვეყანას და, რასაკვირველია, თავის თავსაც მხოლოდ ზიანს მიაყენებს, ვინაიდან საზოგადოების წევრთა ასეთი განწყობილება და მოქმედება გამოიწვევს ქვეყნის ფინანსიურ და ეკონომიურ „კრახს“ — ფაბრიკა-ქარხნების დახურვას და მრეწველობის შეჩერებას, უმუშევრობას და სიმშილს, უკმაყოფილებას და ანარქიას,—და ყოველივე ეს კი ხიდაგს მოუმზადებს საშინელ კონტრ-რევოლიუციას და ძირს გამოუთხრის ჩვენს დამოუკიდებლობას.

საფრანგეთის დემოკრატია 1848 წლის დასაწყისში ჩვენზე ნაკლებად არ ღელავდა თავის ბრწყინვალე გამარჯვებას. მაგრამ იმავ წლის ივნისში გეხეთ კავენიაკმა სისხლში ჩაახრჩო მშიერ მუშათა აჯანყება; 1851 წლის დეკემბერში კი საცოდავმა კაცუნამ ლუი ნაპოლეონმა რესპუბლიკას წესი აუგო და ანარქიით თავმობეზრებული და დაქანცული საზოგადოება „ვიში“ და ტაშით შეხვდა პოლიციურ წესწყობილების დამყარებას.

და ჩვენ თუ ვიკითხავთ, რამ დაღუპა საფრანგეთის მეორე რევოლიუცია, რომ აიძულა მუშები ივნისის აჯანყებისათვის, რამ მისცა ბურჟუაზიას საშუალება თავის სურვილებისამებრ მუშებისთვის ანგარიში გაესწორებინა, პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება მივიღოთ: ეკონომიური და ფინანსიური ცხოვრების დაშლა-დარღვევამ.

ამ ისტორიულმა გაკვეთილმა ჰკუა უნდა გვასწავლოს, უნდა აშკარად დაგვანახოს მჭიდრო კავშირი რევოლიუციის და ეკონომიური ცხოვრების, უნდა შეგვაგნებინოს, რომ ეკონომიური და ფინანსიური „კრახი“ რევოლიუციის და მის მონაპოვრათა კაპიტულიაციას იწვევს..,

ამ რიგად მრეწველობის განვითარებას, აღებ-მიცემობის გაცხოველებას, ერთი სიტყვით, ეკონომიური და ფინანსური მხარეების განმტკიცებას, შეუძლია გვიხსნას ტრაღიკულ მდგომარეობიდან, დაღუპვისაგან,.. თუ ვაჭრობა-მრეწველობა არ განვავითარეთ, თუ ყველაფერი უცხო ქვეყნებიდან შემოხატანი გაგვიხდა, გასაზიდი კი არაფერი გვექმნა,-მაშინ ჩვენ ... ვესი შესაბრალისი დედამიწის ზურგზე მგონი არავინ იქნეს, რაც არ უნდა ყოჩაღად ვაბრუნოთ ფულის საბეჭდავი მანქანის ბორბლები...

რამდენად მეტად განვითარებული იქნება ვაჭრობა-მრეწველობა, იმდენად მეტ ფულს (მაშასადამე, მეტ ქაღალდის ფულსაც) შეუძლია სახელმწიფოში იტრიალოს, განვითარებული მრეწველობა და აღებ-მიცემობა უცხო ქვეყნების ოქროსაც ადვილად მიიზიდავს, რადგან საერთაშორისო ვაჭრობაში ანგარიშს ოქროს ფულით ასწორებენ.

თუ მრეწველობა და აღებ-მიცემობა არ განვავითარეთ, ბევრ ოქროს ფულსაც რომ თავი მოუყაროთ, ყველა ეს სულ მოკლე დროში უცხო ქვეყნებისაკენ გასცურავს. ეს იმიტომ, რომ საქმე იმაში კი არ არის, თუ რამდენი ოქრო აღმოჩნდება ამა თუ იმ ქვეყანაში, არამედ იმაში, თუ რამდენად განვითარებულია მრეწველობა. მაგალითად, კალიფორნია და რუსეთი ყოველ წლივ მთელ დედამიწაზე გადამუშავებულ და მიღებულ ოქროს თითქმის ნახევარ რაოდენობას იძლევიან; ინგლისში და გერმანიაში კი თითქმის სრულიად არ მოიპოვება ოქროს მადნები, მაგრამ მიუხედავად ამისა, რამდენად დამაბუნებული და მატერიალურად წელში მოტეხილი არიან პირველნი, იმდენად ძლიერნი და ეკონომიურად გამაგრებულნი არიან მეორენი.

აქედან ცხადია, თუ სად უნდა ვეძიოთ ხსნა, თუ საით უნდა მივმართოთ ჩვენი ენერგია...

საჭიროა დაუყოვნებლივ მოვახდინოთ ქვეყნის ცოცხალი ძალების მობილიზაცია და ვაჭრობა-მრეწველობის, საწარმოო ძალების განვითარებას შევუდგეთ...

ეხლავე საჭიროა კიდევ სხვა ზომების მიღება.

ჩვენ ვიცით, რომ გადასახადები დიდი ხანია რიგიანად არ აკრეფილა... ვიცით კიდევ, რომ საზოგადოებაში დიდი ფული მოიპოვება... ფინანსიურ კრიზისთან საბრძოლველად საჭიროა ეხლავე გადასახადები მიზანშეწონილად და სამართლიანად გავადიდოთ და ავკრიფოთ, აგრეთვე შინაური სესხი მოვაწყოთ...

ხალხმა უნდა გაიგოს, რომ მის მიერ სახელმწიფოსთვის გაღებული ყოველივე კაპეიკი, ქვეყნის ფინანსიურ მდგომარეობას გააუმჯობესებს, ფულის ფასს ასწევს, საქონელს გააიაფებს და ამ ნაირად საზოგადო სარგებლობასთან ერთად კერძოდ მის სარგებლობასაც გამოიწვევს.

უნდა შევიგნოთ, რომ უმჯობესია თუმნის მაგიერ მანეთი გვქონდეს, მხოლო ისეთი მანეთი, რომელიც ეხლანდელ თუმნიანზე მეტის გაკეთებას შესძლებს. და თუ კი ასეთი მანეთი დაგვრჩება, დეე, თუმნიდან ცხრა მანეთი სახელმწიფოს გადავსცეთ,—განა უფრო მოგებული არ დავრჩებით?!

სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს საწარმოვო მოგება, დააწესოს განსაზღვრული ხელფასი და ფასები პირველ საჭიროების საგნებზე; სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს პირობები და მიიღოს ზომები ბანკების სრული აპერაციების საწარმოებლად და სხვა და სხვა.

საზოგადოებამ უნდა გაიგოს და შეითვისოს ასეთი ზომების საჭიროება და აუცილებლობა როგორც ქვეყნის, ისე კერძო მისი ინტერესებისათვის.

ერთის სიტყვით, თუ არ გვსურს თავისუფლებაზე და დამოუკიდებლობაზე სულის დაბანვა, თუ არ გვსურს უცხო ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიური უღლის დადგმა,—საზოგადოებამ მეტი სიმწიფე და გონიერება, მეტი ინიციატივა და საქმიანობა უნდა გამოიჩინოს, მთავრობამ კი დაუყონებლივ საჭირო ნაბიჯები უნდა გადადგას ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობის განსამტკიცებლად.

ინჟ. ვ. კაკაბაძე.

# ჩვენი ქვეყნის პროვოკატორები

საქართველოს თავისუფლება ვერ მოუნელებიათ ჩვენ მტრებს და ცდილობენ თავისი ბესლიანი მიზნებისათვის ძირი გამოუთხარონ ჯერ ნორჩ საქართველოს რესპუბლიკას. როგორც მკითხველებს მოეხსენებათ დუშეთის არეულობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ რუსი ოფიცრები, რომლებიც გაუგებარ გლეხებს ამხედრებენ დემოკრატიულ მთავრობის წინააღმდეგ ამის დასამტკიცებელი ფაქტი ბევრია. როგორც მაგალითად ერთ

—

[illegible]

ოდ. თუ იძულების წინააღმდეგ წავალთ, მაშინ ანარხისტებს დავენათესავებით, რომელნიც სწორედ ამ მოსაზრებით ილაშქრებენ ყოველგვარ სახელმწიფოს წინააღმდეგ. შეიძლება თავის-და თავად ასეთი ინდივიდუალიზმი თვალს სჭრიდეს ადამიანს, მაგრამ მხოლოდ თვალით ხომ არ ვცხოვრობთ. „მიწის შვილები ვართ, მიწას გაუწიოთ ანგარიში“ (არ. ჯორჯაძე) მაშინ კი დავინახავთ, რომ უსათუოდ სასტიკ ზომათა მიღება არის აუცილებელი და ჩვენ მთავრობასაც ეს ევალება. ყველგან ძალის გამოჩენაა საჭირო, ყველგან ყველაფერი ძალის საშუალებით სწყდება და თვით ჩვენც ხომ ძალის მეუფების დროს ვცხოვრობთ? ჯერ ხომ რევოლიუცია არ დასრულებულა. რევოლიუციის დროს კი ძალა აუცილებელია. უკეთ რევოლიუცია თვით არის ძალა. ამ ძალით უნდა მოხდეს ძველის ლიკვიდაცია და ახლის დაწყება, თუ რევოლიუცია ერთი მხრივ უფლებათა მსპობი რამ ძალაა, მეორე მხრივ იგი უფლებათა შემოქმედიც არის და თუ ძალა არ გააჩნია, ვერც პირველს შესძლებს და ვერც მეორეს. რასაკვირველია ძალადობა იმ აზრით არ უნდა გავიგოთ, რომ ყველგან რისხვა და ცეცხლი შეიტანო. არა. ყველაფერს თავისი დრო და გარემოება გააჩნია. თუ პირობები ისეთი იქნება, რომ ნება-ყოფლობით შესაძლო იქნება საქმის მოგვარება, იქ ძალადობა ვერც გამოდგება, ხოლო თუ ხელის შემშლელი პირობები აღმოჩნდა, მაშინ თვით უკიდურეს საშუალებასაც არ უნდა დაერიდო, თუ კი მათი მოხმარება რევოლიუციის საქმეს გამოასწორებს და განამტკიცებს.

1791 წ. 31 ოქტომბერს საფრანგეთში, საკანონმდებლო საკრებულოში, ჟირონდისტი ისნარი ასაბუთებდა დებულებას, რომ რევოლიუციის მტრები სიკვდილით უნდა დაისაჯონო. 14 ნოემბერს კი აი რა სთქვა: „პოლიტიკურ თავისუფლების საქმეში ბოროტ-მოქმედების პატიება ეს იმას ნიშნავს, რომ თვით შენა ხდები მისი თანამოზიარეო. (აპლოდისმენტები) მე ვიცი, რომ ასე მკაცრ შეხედულებას შესაძლოა სისხლის ღვრა მოჰყვეს; მაგრამ განა უფრო მეტი სისხლი არ დაიღვრება, თუ თქვენ მეტ სისასტიკეს არ გამოიჩენთ? განა სამოქალაქო ომი უფრო მეტი უბედურება არ იქნება? საჭიროა მოიჭრას სენ-გადადებული ასოი, რომ დანარჩენი სხეული იხსნა, გადაარჩინო“-ვო. და იმავე ისნარმა ცოტა შემდეგ ასეთი ფრაზა გადმოისროლა:—„პასუხისმგებლობის ქვეშ ჩვენ სიკვდილს ვგულისხმობთო“. და ამ მკაცრი სიტყვების წარმოთქმა დასჭირდა ჟირონდისტსა, წარმომადგენელს, რომელთ შესახებაც ამბობდნენ, რომ ისინი (ე. ი. ჟირონდისტები) არიან კეთილშობილნი, ჰუმანიურნი, ზნეობრივნი და სხ... მაგრამ როგორც ჰხედავთ, სწორედ ამ ჰუმანიზმის, ზნეობის და სიკეთის განსამტკიცებლად მიმართეს სიმკაცრეს და სისასტიკე იქადაგეს. „რევოლიუციისთვის ეს აუცილებელია.—მე მოვითხოვ, რომ სიკვდილით იქმნეს დასჯილი ყველა, ვისაც კი რესპუბლიკის გადარჩენის იმედი დაუკარგავსო“,—სთქვა 1792 წ. ბარბარუმ.

ხედავთ სიმკაცრე სადამდე მიდის? უიმედობისთვისაც კი სიკვდილით ემუქრებოდნენ. თავისუფლებას ასე სასტიკად უნდა დარაჯობა.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

(დასასრული იქნება)

ერთმა საზოგადოების კომისარმა გამოგვცა. სამი კვირის წინად, ჩვენს სოფელში მოვიდა ვიღაც უცნობი რუსი. ეტყობოდა ოფიცერი უნდა ყოფილიყო. იგი თარჯიმანის მეოხებით გლეხებს ესაუბრებოდა და პროვოკაციას წევდა ქართული მთავრობის წინააღმდეგო. სხვათა შორის ურჩევდა გამოსულიყვნენ მთავრობის წინააღმდეგ და რუსეთის ბოლშევიკებს შერთებოდენ რომლებიც ქავკაზში იმყოფებიანო. გლეხებს ეგონათ, რომ იგი სიმართლეს ეუბნებოდა და მას თანაგრძნობა გამოუცხადეს. თურმე ამნაირი რუსი ოფიცრები სხვა დუშეთის მაზრის სოფლებშიდაც დაძრწოდენ და ჩვენს გლეხობას ამხედრებდნენ, თუ მხედველობაში მივიღებთ ეს ვაჟბატონები იყვნენ აგრეთვე მეამბოხეებს რომ ხელმძღვანელობდნენ 20 ივნისს მთავრობის ჯარის წინააღმდეგ.

შეიძლება გლეხები უჩხუბრად დანებდებოდენ დემოკრატიულ მთავრობას, რომ ეს ვაჟბატონი პროვოკატორი რუსი ოფიცრები არ წასულიყვნენ ყოველივე მორიგეობის წინააღმდეგ. მკითხველებს კარგად მოეხსენებათ რომ დუშეთის სოფლებიდან ტფილისში დელეგაცია მოვიდა, მთავრობასთან მორიგებულიყვნენ. ამის ნაყოფი კიდევაც იყო ზოგიერთ სოფლებში, მხოლოდ სოფ. მისაქციელში, რუსი ოფიცერი წავიდა წინააღმდეგი მთავრობასთან შერიგებისა. და დუშეთელ გლეხებს უნდობლობა გამოუცხადა. ამასვე ვხედავთ თიანეთში, მქადურ მეამბოხეებს ხელმძღვანელობს ყოფილი ბოქაულის თანაშემწე, ვინმე გულოვანი. იგი თიანელებს ურჩევს გამოვიდენ მთავრობის წინაღმდეგ. როგორც თიანეთიდან ჩამოსულმა მთავრობის რაზმელებმა გადმოგვცეს, რამოდენიმე რუსი ოფიცერიც ყოფილა სპეციალურად ჩასული თიანეთში რომ აქაც მოაწყონ ამბოხება. დროა ქართველმა დემოკრატიამ თვალი გაახილოს და თავისი მტრები საქვეყნოთ დაგმოს. ქართველმა გლეხობამ კი კარგად უნდა იცოდეს, რომ რუსი ხულიგანი ოფიცრობა რომლებიც ვითომც მათ აღელვებს დემოკრატიულ მთავრობის წინააღმდეგ არ არიან ეს ვაჟბატონები გლეხების ინტერესების დამცველნი, არამედ მათ სურთ ქართველი ხალხის დაქსაქსვა დაუძლურება, რეაქციის საშუალებით დემოკრატიულ მთავრობის დამხობა და ანარქისტ ბოლშევიკების შემოსევით, საქართველოს რეაქციონურ რუსეთში მოხვედრა, რომ ამით მათ ძველებურად იბატონონ საქართველოში. ისინი ამის შემდეგ რასაკვირველია თავისი ბრჭყვიალა პოგონებით გამოიჭიმებიან რეაქციონურ მთავრობის წინაშე და გლეხებს, რომელთაც დღეს ვითომც მოყვრად უხდებიან მაშინ მათრახის ცემით თავბრს დაამტვრევენ.

დროა შეიგნოთ ქართველო გლეხებო, თუ ვინ გამხედრებს თქვენ დემოკრატიულ მთავრობის წინააღმდეგ, მაგ რუსი ოფიცრები, რომლებიც თქვენ ხელმძღვანელობენ, არიან მოცქული კონტრ რევოლიუციისა.

ალ. გორგაძე.

## მასწავლებელთა კურსები ქუთაისში

როგორც პირველ წერილში მოგახსენეთ („სახ. საქმ.“ № 264), ახალი სტილით ივნისის 17, რეალურს სასწავლებელში გაიხსნა კურსები ქართული ენისა, ლიტერატურისა და საქართველოს გეოგრაფია-ისტორიის შესასწავლად. სამი დღის განმავლობაში მსმენელთა რიცხვი ავიდა 70 ზე; პირველ კვირაში ლექციებს კითხულობდა გრამატიკა-ლიტერატურა ისტორიიდან მარტო დეკ. მელ. კელენჯერიძე, რომლის შინაარსიანმა ლექციებმა მოიზიდა აუარებელი მსმენელი და დღეს, მათი რიცხვი უკვე 200 ზე მეტია; საშუალო სკოლის მასწავლებელია 40-მდე, დანარჩენი კი დაწყებითი სკოლებიდანაა; ამ რიცხვში პროვინციული მასწავლებელი იქნება 80. მეორე კვირიდან აუდიტორია გადატანილ იქნა ქალთა წმ. ნინოს გიმნაზიაში, როგორც ქალაქის ცენტრში. პროვინციებიდან ჩამოსულთათვის, ვინც კი ისურვებს, ბინა არის რეალური სასწავლებლის პანსიონში, სადილი კი მზადდება ხელსაქმურელ ფასებში კლასიკურ გიმნაზიაში. ლექციების კითხვა იწყება დილის 8 ნახ. საათზე; დღეში არის სულ 5 ლექცია, თითო გრძელდება 50 წუთს, დასვენება 10 წ. ლექციები თავდება 1 ნახ. საათ. ლექტორებად დეკ. მელ. კელენჯერიძის გარდა, რომელიც კითხულობს გრამატიკიდან ძველი ლიტერატურიდან და უძველესი ისტორიიდან, მოწვეულნი არიან ა) გაბრიელის ქალთა გიმნაზიის გამგე ტრ. ჯაფარიძე—(მე-19 საუკუნის პირველი ნახევ. ლიტერატურა). ბ) რეალური სასწავლებლის მასწავლებელი კ. კაპანელი-შანტურაია—(მე-19 საუკ. მეორე ნახევ. ლიტერ. და ფრანგული ენა). გ) სახალხო სკოლების მეთვალყურე, ბათომის გიმნაზიის მასწავლებელი, ილ. ფერაძე—(ახალი ისტორია). დ) კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელი დავ. ქუთათელაძე (საქართველოს გეოგრაფია), ე) ყოფილი სათავადაზნაურო გიმნაზიის მასწავლებელი გ. სვანიძე—(გერმანული ენა). გრამატიკისა, ლიტერატურისა და ისტორიის ლექციებს ყველა ესწრება ამ საგნებს დათმობილი აქვს პირველი სამი საათი, უკანასკნელი საათები დანიშნულია, ფრანგულ-გერმანული ენებისათვის; ამიტომ ვისაც არ სურს ამ ენების გაცნობა, ის მიდის სამი ლექციის შემდეგ. უნდა აღვნიშნო, რომ ენებს სწავლობს უმრავლესობა. მადლობის ღირსია ლექტორი გიორგი სვანიძე, რომელმაც დაივალა გერმანული ენის უსასყიდლოდ სწავლება. კერძო კურსებმა ეხლა სერიოზული ხასიათი მიიღო და ყველა მეტად დაინტერესდა; მსმენელები ყოველდღე ემატებიან; ხარჯთ აღრიცხვა გაეგზავნა სახალხო განათლების მინისტრს; დახმარება მიეცემა პროვინციელ მასწავლებელს საშუალო რიცხვით თითოს 5—6 მანეთი დღეში, ე. ი. სადილის ფული. 100 პროვინციელ მასწავლებელს დასჭირდება დღეში 600 მანეთი, თუ ნახევარს კი 27 ათასი მანეთი, ამას უნდა დაუმატოთ 5—6 ლექტორის ჯილდო 45 დღის განმავლობაში, რაც შეადგენს სულ თანხას 30—35 ათას მანეთამდე.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სახალხო განათლების სამინისტრო, რომელიც თანაგრძნობით შეხვდა ამ კურსების გახსნას, დაპირებისამებრ აღმოუჩენს დახმარებას ღარიბ სახალხო მასწავლებლებს. ორ ივლისამდე ლექციების კითხვა მოხდა სულ 13 დღეს (კვირა-უქმე დღეების გამორიცხვით). გრამატიკიდან უმთავრესი ყურადღება მიქცეული აქვს სწორმეტყველებასა და მართლწერას; ჯეროვნობით ლექტორი აცნობს მსმენელებს ეტიმოლოგიას. ამ საგანში მამა მ. კელენჯერიძე, რასაკვირველია, გამოსთქვამს რა თავის აზრსა და შეხედულობას გრამატიკულ კანონების და ტერმინოლოგიის შესახებ, მსმენელებს წინადადებას აძლევს, თვითაც ჩაუკვირდნენ მის მიერ მოყვანილ დებულებებს და შემდეგ მიიღონ მონაწილეობა შეკითხვა-კამათში ერთად ლექტორთან. უძველესი ისტორიიდან მან გააცნო მსმენელებს საქართველოს მიწა-წყალი, მაშინდელი სამეფოები, ძველი მეფეები, სარწმუნოება, მცხეთის სამეფოს დაარსება, ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში, მოციქულთა ანდრიასი და სიმონ კანანელის მოგზაურობა, წმ. ნინოს მოღვაწეობა, იერარქიული წესწყობილება საქართველოში და სხვა... ძველი ლიტერატურიდან განათლების გამავრცელებელი ცენტრები საბერძნეთში, კვიპროსის კუნძულზე, ტაოკლარჯეთში და სხვაგან... მწერლები —ჯვარის მონასტერში, სინას მთაზე, საბას ლავრაში, ანტიოქიაში, ათონში, ტაო-კლარჯეთში, მე-5—10 საუკუნეებში, წმ. შუშანიკის ცხოვრება, აბო ტფილელის ცხოვრება და სხვა ისტორიული მასალები, მე-10 საუკუნის სასულიერო მწერლობა, მისი ავტორები და საზოგადოთ ძველი სასულიერო მწერლობის საუკეთესო კლასიკური ნაშთები და წყაროები ლიტერატურის შესასწავლად; ამასთანავე ლექტორმა წაუკითხა მსმენელთ ზოგიერთი ადგილები ძველი მწერლობიდან და გააცნო ისინი მაშინდელ ავტორთა ენას. მე-19 საუკუნის ლიტერატურიდან ლექტორებმა ჯეროვნობით გაარჩიეს ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის ნაწერები, როგორც რომანტიზმის დამახასიათებელი და ილია ჭავჭავაძის შემოქმედება, როგორც საუკეთესო გამომხატველი რეალიზმისა; გარჩეულ იქმნა მისი ლექსები „პოეტი“ და „ქართვლის დედას“ ლექტორმა დავ. ქუთათელაძემ წაიკითხა ორი ლექცია საქართველოს გეოგრაფიიდან; მან გააცნო მსმენელები საქართველოს ტერიტორიას, გეოგრაფიულ მდგომარეობას, საზღვრებს, ზღვა პირის მოყვანილობას, მთებს, ვაკე-გორებს, ვაკე ხეობას, ბუნებას, ნიადაგს და გეოლოგიას. უცხო ენების ლექტორებმა დაიწყეს მაცადინობა ანბანიდან და ასწავლიან წერა-კითხვას. ლექციებზე ყველა თავის დროზე მოდის და ყურადღებით უსმენს ლექტორებს. საზოგადოდ კურსები კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, და სარგებლობას მოიტანს; ასე თუ ისე სახალხო მასწავლებლები გაეცნობიან კონსპექტიურად მშობლიურ ლიტერატურას და გეოგრაფია-ისტორიას და შემდეგ საზოგადო წარმოდგენა ექნებათ, რაც მათ ხელმძღვანელობას გაუწევს ამ საგნების არსებითად შესწავლის დროს.

ლადო ბზვანელი.

## პასუხად ამ. ადამაშვილს

პასუხად თქვენი ღია ბარათისა მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ ეროვნულ საბჭოს ტრიბუნიდან მე ვსთქვი ის, რისი ღქმაც ჩემს მოქალაქობრივ მოვალეობად მიმაჩნდა. ვინაიდან თქვენ უკვე მიგიმართავთ მთავრობისთვის, ალბად, კიდეც შეეცდებით თქვენი სიმართლე დაამტკიცოთ. ხოლო როგორ მოვიქცევი მე როგორც გამოძიების დროს, ისე შემდეგ, ნება მიბოძეთ ამის შესახებ მოგახსენოთ მაშინ, როდესაც მთავრობა გამოძიებას თქვენი საქმის შესახებ დაასრულებს.

ეროვნულ საბჭოს წევრი ს. დადიანი

## ღია წერილი

### ბ-ნ სამსონ დადიანს

ეროვნულ საბჭოს კრებაზე თქვენ გითქვამთ ვითომ მე ქ. სამტრედიაში ვაპირებდი წითელი ჯვრის ქონების გაყიდვას 100.000 მანეთად, თუმცა იგი ღირდა 300.000 მანეთი. თქვენი საქციელი ღრმად მაწყენს. ვერ გამიგია, რის თქმა გინდოდათ? რაში მდებთ ბრალსა? თუ ბოროტმოქმედებას მაბრალებთ, პირდაპირ სთქვანეთ და საბუთებიც წარმოადგინეთ.

ჭორებისა და ცილისწამების გასაქარწყლებლად გუშინ მთავრობის თავმჯდომარეს თხოვნა წარვუდგინე, სადაც ვთხოულობ რომ ამ საქმისა და ჩემი მოქმედების გარჩევა-გამორკვევა მიენდოს სახელმწიფო კონტროლიორს, ხოლო თუ რამეში დამნაშავე გამოვდექი, სამართალში მიმცენ და სასტიკად დამსაჯონ. თქვენგან კი მოვითხოვ, რომ რაც საბუთი და მასალა გაქვთ გადასცეთ სახელმწიფო კონტროლს.

არსებითად საქმის ვითარება ასე გახლდათ. წითელი ჯვრის ქონების გამოსატანად და მრავალ დაწესებულებათა შესანახად ბათომის კომენდანტისგან 19 მარტის თარიღით და მთავრობის მთავრმუნებულისაგან 22 მარტის თარიღით (№ 744) ბრძანება და ნებართვა მქონდა გამეყიდნა ზედმეტი ქონება. ამისთვის, თანახმად კანონისა, მივმართე სამტრედიისა და ხონის თვითმართველობას და ერთად შევიმუშავეთ ფასები. საჭირო იყო მხოლოდ ნებართვა „კომიტეტ სნაბჟენიისა“, რომელსაც მივმართეთ, მაგრამ პასუხი არ მოვიდა. ამავე დროს სამტრედიის ასცდა ომხალთა მხრივ შიში და ფულიც ალარ იყო საჭირო, ოდგან დიდი ხნის ლოდინის შემდეგ მივიღე იგი ტფილისიდან ამ მიზეზების გამო სამტრედიის თვითმართველობასთან შეწყდა მოლაპარაკება და გადაწყვეტილი ქონება არ იქმნა გაყიდული. დაწვრილებით ამ საქმის ვითხრობა-გარჩევა გაზეთში შეუძლებელია, ამიტომ, ვიმეორებ, მობრძანდით სახელმწიფო კონტროლში და იქ წარმოადგინეთ თქვენი ბრალდება.

მ. ალამაშვილი.

## ქართული ფულის ფონდი

სამხედრო სამინისტროს კანცელარიაში მოიტანეს: ოპიფანტე ვასილის ძე გამზარდიამ: ანნა მესამე 1, სტანისლავა მესამე 1 და ვერცხლის ფული 4 მ. 80 კ., გრიგოლ ივანეს ძე ქიქოძემ ანნა მესამე 1, სტანისლავა მესამე 1 და ერთი ბრინჯაოს მედალი; ქეთევან ილიას ასულმა ბაბიაშვილმა რუსული ვერცხლის ფული ხუთი მან. და ერთი მედალი; მარია ალექსანდრეს ასულმა ჯავრიშვილმა ორი ვერცხლის საიუბილეო ნიშნები; კოლ. სოვ. ალექსანდრე ლევანის ძე თულაშვილმა ანნა მესამე, ანნა მეორე, ვლადიმერი მეოთხე 1, სტანისლავა მესამე 1 და ორი უბრალო მედალი; კოტე და ვანო გრიგოლის ძე ერისთავებმა სტან. მესამე 1, ორი ვერცხლის მედალი, ერთი თათრული ვერცხლის ლირა, ერთი ვერცხლის იუბილეის ნიშანი, ერთი ჯარის კაცის გიორგის ჯვარი ვერცხლისა, ერთი თათრული პატარა ვერცხლის ფული, ერთი პატარა ვერცხლის ფიცარი, ვერცხლის ნაჭერი ფოთოლი, სამი უბრალო მედალი, ერთი თუჯის ნახევარ კაპეკიანი და ერთი ფინური სპილენძის ფული; პოდპოლკ. ანტონ ნიკოლოზის ძე ჭილაშვილმა სტანისლავა მეორე 1; გაბაშვილისამ სტან. მეორე 1, ვლადიმერი მეოთხე 1, ორი მედალი და ერთი ვერცხლის ხემოსაკიდი; ექიმმა ნიკო ერისთავმა სტანისლავა მესამე ხარ. ერთ; დიმიტრი ლევანის ძე ჭავჭავაძემ შვიდი მანეთის რუსული ვერცხლის ფული 68 კაპ., ოქროს ბეჭედი (დამწვარი) ნახევარი მისხალი და ვერცხლის ბეჭედი 1 მისხ.—ყველა ზემოხსენებულ პირთ მიეცათ სათანადო კვიტანცია.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო! თქვენი პატივცემული გაზეთის № 271 ნომერში მოთავსებულია წერილი შესახებ ქართველ მოხელეთა კავშირის წევრთა კრებისა.

საჭიროა აღვნიშნო, რომ კრებამ, თანახმად ჩემი წინადადებისა, ფეხზე ადგომით პატივი სცა არა მარტო კათალიკოსის ხსოვნას, არამედ მასთანვე უდროოდ და ტრაგიკულად დაკარგულ ვლ. გობეჩიასას.

იმისთანა თეზისი, რომ „გაძლიერებულ იქნეს თვალყური გლეხობის დაწესებულებებში“ სახელმწიფო ქონების მითვისება-გაფლანგვის გამო, მე არ წამომიყენებია. მხოლოდ ხაზი გაუსვი, რომ საჭიროა სათავეში და საპასუხისმგებლო ადგილებზე ჩავაყენოთ სანდო მამულიშვილნი. ეს არა მნიშვნელოვანი შესწორება მაინც საჭიროა მათთვის, ვინც ხათითო ჩვენს სიტყვას, და არა აზრს, კალმში უდგიან.

სხვაფრივ ყველაფერი ნამდვილად არის გაშუქებული და ღრმა მადლობასაც ვსწირავ ავტორს ყურადღებისთვის.

კავშირის საბჭოს თავმჯდომარე გ. ჯაფარიძე

—

მოქალაქე რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ ქალ. ბათომში მცხოვრებს ქალ. მ. ნაკაშიძისას, რომელმაც ბათომში ტყვეობის დროს დიდ-ძალი დახმარება გაგვიწია სურსათის ზიდვით, და რომელმაც ტიტველ შიშველნი ტანისამოსით დაგვასაჩუქრა.

პ. ტ. ც. ამხანაგების მინდობილობით ჯარ. კაც. მწერალი თომა დეკანოზიძე.

## შემოწირულება

სია იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და შესწირეს ფული ახალციხის ლტოლვილთა სასარგებლოდ.

სიმონ და სამსონ ცეცხლაძემ 30 მ., ხტ. ივ. თირთიშვილმა 20 მან., მიხ. გაწერელიამ 20 მან., აკაკი შენგელიამ 20 მ., ხაბინმა 20 მან., ანტონ თოიძემ 10 მან., იოსებ თოიძემ 10 მან., ბათუ დანელიამ 10 მან., ტარას ნიკიტინმა და სურინოვმა 100 მან., ნიკო აბუსერიძემ 20 მან., ერმილე ლეჟავამ 20 მან., ნესტორ ს. ჩიმახიძემ 20 მან., ნიკო თოიძემ 20 მან., გ. ორჯონიკიძემ 20 მან., შურა ორჯონიკიძემ 20 მ., პავლე გველესიანმა 20 მან. სულ 380 მანეთი.

ხტ. თირთიშვილი.

[illegible]

ექიმი

შ. შ. [illegible]

[illegible] 1030

---

ექიმი

**დ. შარაშანიძე**

იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფებს დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. ბებუთოვის ქუჩა, № 7. 3180

ექიმი

**დ. ი. ჯაფარიძე**

შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მასის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1153

მედიცინის დოქტორი

მიუნხენის უნივერსიტეტისა

**ნ. ლ. ტურიაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ.

შინაგანი, ბავშვებისა, სქესობრივი და საშვილოსნო სნეულებანი.

ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 624

ექიმი

**ს. ზ. მირზოევი**

[illegible] იღებს 4—6 ს., [illegible] № 1. მეორე სართული. 1009

ექიმი

**პ. ტყეშელაშვილი**

ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით $5^1/_2$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი

**ჟ. [illegible]**

[illegible]

კბილის ექიმი

**კონსტანტინე არდაზიანი**

გ ნახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

ექიმი

**ი. ი. ბერიშვილი**

დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 8. 450

მარტის 20 გაიხსნა

**ახალი სამკურნალო**

ყოველგვარ ავადმყოფთათვის

**ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის**

სამკურნალოში იარსებებს კბილის ხელოვნური კბილების ტექნიკური ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და კიროჩნის ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმი

**ე. ლ. შალამბერიძე**

იღებს სქესობრივ და საშვილოსნოს ავადმყოფებს, საღამოს 5—7 ს. მისამართი ბებუთოვის ქ. № 7. 1027

ექიმი

**პავლე არდაზიანი**

დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფებს, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 ბინა. 1002

ექიმი

**შ. ა. მიქელაძე**

მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

**თვალის სამკურნალო**

მუდმივი საწოლით

**ექიმ დონხიძისა**

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში, თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად), მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმი

**დ. ვ. ჯავახიშვილი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფებს, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე. [illegible] ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—08. 1082

ექიმი

**ნ. ი. მახვილაძე**

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მ. ახვლედიანის ქ. № 11. 426

**ექიმ ნაკასარდიანის**

პირველი კერძო

**სამკურნალო**

(დაარსებულია 1880 წელს).

ყოველგვარ ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე (გარდა კვირისა დილით:

**„606“ და „914“** 11—12 ს.

ნ. ა. ნაკასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

გ. ი. მამრეი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.

ბ. გ. აგაბაბოვი: $9^1/_2$ ½ ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ბაქტერიოლოგი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.

მ. მ. ბესიამოვი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ბ. გ. აგეტიანი—9—11 ს. საკუთრივ ბავშვთა ავადმყ.

ი. ი. ტერ გრიგორიანცი: 1—2 ს. შინაგანი.

საღამოთი:

ა. ნ. იზაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.

რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნაკასარდიანი. 1010

**სტამბა „სახალხო საქმე“**

იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ წიგნების, ჟურნალების, სადარბაზო ბარათების, კანცელარიის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.

საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.

კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად, ბარონის ქუჩა № 14. ტელეფონი 17—96.